# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 9 აპრილი · 1998 №52 (587) · ფასი 40 თეთრი


## 21 ტური

**6 აპრილი**

თსუ 0:0 გურია
კოლხეთი 1:0 ვიტ ჯორჯია
ბათუმი 7:1 სამგურალი
სიონი 0:2 ლოკომოტივი

**7 აპრილი**

მერანი 1:0 მარგვეთი
ტორპედო 1:0 დილა

**გადაიდო**

მაღაროელი - რუსთავი
ოდიში - დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 57:7 | 48 |
| ბათუმი | 21 | 13 | 5 | 3 | 47:14 | 44 |
| კოლხეთი | 21 | 13 | 3 | 5 | 42:18 | 42 |
| ოდიში | 20 | 13 | 2 | 5 | 33:25 | 41 |
| ტორპედო | 21 | 11 | 6 | 4 | 34:19 | 39 |
| თსუ | 21 | 9 | 6 | 6 | 27:15 | 33 |
| მერანი | 21 | 9 | 5 | 7 | 25:26 | 27 |
| ლოკომოტივი | 21 | 7 | 6 | 8 | 22:28 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 6 | 7 | 8 | 20:24 | 25 |
| დილა | 21 | 7 | 3 | 11 | 18:27 | 24 |
| სიონი | 21 | 7 | 6 | 8 | 32:27 | 22 |
| რუსთავი | 20 | 7 | 0 | 13 | 19:33 | 21 |
| სამგურალი | 21 | 5 | 4 | 12 | 20:43 | 19 |
| გურია | 21 | 3 | 7 | 11 | 20:42 | 16 |
| მაღაროელი | 20 | 3 | 3 | 14 | 17:48 | 12 |
| მარგვეთი | 21 | 1 | 5 | 15 | 13:50 | 8 |

„დინამოს", „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე



[illegible] ფოტო

გუშინწინ ავჭალაში: „მერანი" — „მარგვეთი". ზესტაფონელი მალხაზ ყვანია შერმადინ დანელიას მეურვეობდა

# 19 აგვისტოს, კიევში...

საქართველოს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გაახერხა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ჩვენები და უკრაინის ნაკრების მწვრთნელი იოჟეფ საბო საბოლოოდ შეთანხმდნენ — მატჩი 19 აგვისტოს, კიევში რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართება. ეროვნულების თამაშამდე კი ერთმანეთს უკრაინელ-ქართველი ახალგაზრდებიც გაეჯიბრებიან. ამ ამბავს, გუშინ კიევიდან ფედერაციაში გამოგზავნილი ფაქსიც ადასტურებს.

უკრაინული ფეხბურთის სტილი მოგეხსენებათ, ქართველნიც კმაყოფილები არიან, მათთან თამაში ნორვეგიელებთან მოსამზადებლად დაგვეხმარებაო, ამბობენ. ერთი სიტყვით, საქართველოს მორიგი საბჭოური მეტოქე ჰყავს, 30 მაისს რუსებს ვმასპინძლობთ, 12 აგვისტოს განჯას ვსტუმრობთ. აი, აპრილში კი ვინ ისურვებს ჩვენთან თამაშს, ჯერაც უცნობია.

# ჯო ვირზე შემჯდარა

როგორც გატყობინებდით, გიო ქინქლაძის „აიაქსში" გადასვლის ამბავი 10 აპრილს უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ, ეტყობა, ჰოლანდიელებს გულმა არ მოუთმინათ და გუშინ „აიაქსის" პრეზიდენტი მანჩესტერს ესტუმრა. იგი „სიტის" მწვრთნელ ჯო როილს ესაუბრა და კონკრეტული თანხაც დაუსახელა, რომელსაც ქინქლაძეში გადაიხდიან. 5 მილიონი გირვანქა კარგი ფულიაო — პრეზიდენტი თურმე ძალიან ცდილობდა როილის დაყაბულებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჯო ვირზე შეჯდა, 6 მილიონ გირვანქას კაპიკი არ დააკლდებაო, რაზეც „აიაქსის" უფროსს მიუგია — მაგდენს არც არავისში გადავიხდითო. მოკლედ, როილი და ჰოლანდიელთა პრეზიდენტი ვაჭრობენ, ერთ კვირაში ორივე მხარე თავისას მოიფიქრებს და კვლავ გაისაუბრებენ, გიოს ამბავიც მაშინ გადაწყდება. აქაურ გაზეთებს კი მეტი რა უნდათ, შესაძლო ტრანსფერს ისეთ კუდს გამოაბამენ, ლამისაა, ჭკუიდან შეიშალოს კაცი. ერთსა და იმავეს ატრიალებენ, ატრიალებენ, აღარ ვიცი, რომელს დავუჯერო. თუმცა, ამათგან განსხვავებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვარ. ეჭვის შემთხვევაში პირდაპირ გიოს ვუკავშირდები და ახალ ამბებსაც მისგან ვიტყობ. აიაქსელთა ვიზიტის შემდეგაც ასე მოვიქეცი: კი, გავიგე, ჰოლანდიელები რომ ჩამოსულან, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ეგ იყო, მორტენ ოლსენმა დამირეკა, მომიკითხა, ისევ ძველებურად ვისაუბრეთ. ბოლო დღეებია, სულ „აიაქსზე" ვფიქრობ. რომ ავიხირო, მარტო „აიაქსში" მინდა თამაში-მეთქი, დარწმუნებული ვარ, უპრობლემოდ გამიშვებენ, რადგანაც როილის გეგმები უჩემოდ არის შედგენილი. ვნახოთ, რა გამოვა. ისე, ახლა ძალიან ცუდი დროა, მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და ყველა იქითკენაა გადართული, მანამდე ახალ შენაძენებს ერიდებიან — ბოლო-ბოლო, გამარკვია გიორგიმ.

სხვათა შორის, მოგვიანებით ჰოლანდიელთლა პრეზიდენტის სტუმრობის ამბავი საინფორმაციო სააგენტოებმაც გაავრცელეს. ჯო როილს უთქვამს, მეგობრული დიალოგი გვქონდა, მაგრამ ფასზე ვერ შევთანხმდითო.

**დავით მჭედლიშვილი** ლონდონიდან

# დუელი 8 ივნისს პარიზში გაიმართება

სამშაბათს, შუაღამით, ვადა ამოიწურა. ახალი განაცხადი არავის შეუტანია. ამრიგად ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატებად ოფიციალურად დაამტკიცეს ორი ადამიანი, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და ფიფას გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი.

არჩევნები, რომელიც 24 წლის მმართველობის შემდეგ თანამდებობიდან მიმავალი ბრაზილიელი ჟოაო აველანჟის შემცვლელს გამოავლენს 8 ივნისს, პარიზში, ფიფას 51-ე კონგრესზე გაიმართება. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნამდე ორი დღით ადრე მოხდება.

პირველ რაუნდშივე გასამარჯვებლად კანდიდატებს ხმათა ორი მესამედი დასჭირდებათ. თუ ასეთი რაოდენობის მომხრე არცერთს აღმოაჩნდება, გამარჯვებულს მეორე რაუნდი და უბრალო უმრავლესობის წესი გამოავლენს.





ლენარტ იუჰანსონი: მე მოვალ!

არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ფიფას წევრი 198 ასოციაცია. ნამდვილად ცნობილია, რომ ხმის მიმცემთა შორის არ იქნება ერთი, პალესტინის ფეხბურთის ასოციაცია, რომელსაც დროებით ასოციაციის სტატუსი აქვს. გარდა ამისა, შესაძლოა ხმის უფლება ჩამოართვან იმ ასოციაციას (თუ ასეთი არსებობს), რომელსაც ყოველწლიური საწევრო არ აქვს გადახდილი ან 1994 წლის კონგრესის შემდეგ გამართულ ფიფას შეჯიბრებებიდან სულ მცირე ორში არ მიუღია მონაწილეობა.

## ამხანაგური მატჩი

**რუმინეთი 2:1 საბერძნეთი**

1:0 მოლდოვანი (62), 2:0 ბარბუ (80), 2:1 ალექსანდრისი (84)

**EURO 2000**

**ჩვენი ჯგუფი**

ამ შეხვედრამდე ორიოდ დღით ადრე რუმინეთის ნაკრების თავკაცმა ანგელ იორდანესკუმ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ევროპის 2000 წლის პირველობის შესარჩევ ტურნირში ქართველთა ერთ-ერთ მეტოქეს, საბერძნეთის გუნდს უხელმძღვანელებს, განაცხადა, მართალია, ზეგ ჩემს მომავალ ნაკრებს დავუპირისპირდებით, მაგრამ იცოდეთ, ელინებს ამის გამო შეღავათს არ გავუწევთო.

მასპინძელთა მწვრთნელის სიტყვები გამართლდა — საბერძნეთმა ვერაფერი გააწყო რუმინეთთან. მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ მონაწილე რუმინელებმა, როგორც ჩვეიათ, ხისტი, უხეშობის ზღვრამდე მისული ფეხბურთი ითამაშეს და, მართალია, მინიმალური უპირატესობით, მაგრამ მაინც იმარჯვეს.

ანგარიში, ორი წლის წინ საქართველოს ნაკრების კარში სამი გოლის გამტანმა ვიორელ მოლდოვანმა გახსნა, შემდგომი ორი ბურთი კი შეცვლაზე შესულმა მოთამაშეებმა შეაგდეს. სხვათა შორის რუმინელებს თურქეთის თასის ფინალში მოთამაშე გალათასარაელები — ჰაჯი, პოპესკუ და ფილიპესკუ აკლდათ.

---

ქუთაისი
„გივი კილაძე"
7 აპრილი

**ტორპედო 1:0 დილა**

**ტორპედო:** ასლანაძე, გ. შენგელია (ვაჩიბერაძე 46), ჩხაბერიძე, თურმანიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, კ. მეტრეველი (ჩხეტიანი 65), დ. ჯანაშია (ლ. ქობულაძე 89), მეგრელაძე, ჩხაიძე
**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ხოხობაშვილი (მ. მინდიაშვილი 46), რევაზიშვილი, ციცქიშვილი (ჩიტაია 74), მარეხაშვილი, ლომიძე, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, შატაკიშვილი
1:0 ჯანაშია (45)
**გაფრთხილება:** ხოხობაშვილი, ხაჭაპურიძე
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

# მთავარი მაინც შედეგია

მცხეთაში „დინამოსგან" დამარცხებულ ქუთაისელებს გონზე მოსასვლელად ცოტა დრო ჰქონდათ, არადა, მომდევნო მატჩიც საპასუხისმგებლო გახლდათ. ბოლოხანს ტორპედოელებს კერკეტ კაკლად ექცათ „დილა". შარშან შემოდგომაზე გორელებმა ძალიან გააწვალეს იმერლები. ჯერ იყო და ჩემპიონატში თითქმის მოგებული თამაში გაუყაიმეს, მერე კი თასის მერვედფინალიდან გამოთიშეს. ალბათ, გახსოვთ, ამ ამბავს დავიდარაბა მოჰყვა, კლუბებს შორის ურთიერთობის გამწვავებას აღარაფერი აკლდა, თუმც საბოლოოდ მაინც მშვიდობიანად ჩამთავრდა ყველაფერი. მას შემდეგ „დილა" თუ გაძლიერდა მხოლოდ. მართალია, მეორე წრეში ქულებს კი ფლანგავს, მაგრამ თამაშის დონით ორ-სამ გუნდს თუ ჩამოუვარდება.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან სცადეს მეტოქის შებოჭვა. ისინი თითქოს ცენტრსაც დაეუფლნენ, ფლანგებიდან აქტიურად შეუტიეს, მაგრამ სახიფათო დიდხანს არაფერი შეუქმნიათ. გორელები საოცრად დინჯად და ორგანიზებულად იცავდნენ თავს. თანაც კონტრშეტევებზეც ეჭირათ თვალი. ტაიმის ნახევარი ისე გაილია, საყურადღებო არც ერთ კართან მომხდარა. 25-ე წუთი იყო, მასპინძელთა კაპიტანმა კვეტენაძემ კარგად რომ დაუგდო მეგრელაძეს, ის კი საჯარიმოში ბურთის მიღებისას წაიქცა, მაგრამ მაინც შეძლო უხერხული მდგომარეობიდან კარში დარტყმა. ჭანტურიამაც, უკვე წაქცეულმა, ფეხით მოიგერია. 6 წუთის შემდეგ კვეტენაძე ცენტრში დაეუფლა ბურთს, წინ გაიჭრა, მცველებს მარდად დაუსხლტა და როგორც კი საჯარიმოს მიუახლოვდა, ძლიერად დაარტყა, გორელთა მეკარე ამჯერადაც ვარდნაში ფეხით მისწვდა ბურთს და სიტუაცია განმუხტა. კაპიტანს აქტიური თამაში ტაიმის მიწურულს დაუფასდა. კვეტენაძემ ისევ იყოჩაღა, ზუსტი გამჭოლი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ჯანაშია. ახლა კი წააგო მეკარემ დუელი — ტორპედოელმა ტექნიკურად დაურტყა კუთხეში. უნდა ითქვას, რომ „დილას" კარში ბურთი გადამეტებულ დროში გავიდა, მაგრამ არბიტრის დადანაშაულება უსამართლო იქნებოდა. ლორთქიფანიძეს მანამდე რამდენჯერმე მოუხდა თამაშის შეჩერება ფეხბურთელებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

მეორე ტაიმი პირველისგან იმით განსხვავდებოდა, რომ სტუმრებმა, რომლებიც შესვენებამდე მეტწილად მაინც დაცვით იყვნენ გართულნი, ახლა ეს აღარ იკმარეს, „ტორპედოს" უფრო მაგრად დაუხვდნენ, საკმაოდ მწყობრად შეუტიეს და, ფაქტობრივად, თამაშიც გაათანაბრეს. ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ: პირველად მე-60 წუთზე თურმანიძემ და ასლანაძემ რომ შეუთანხმებლად ითამაშეს. ამით მინდიაშვილმა ისარგებლა, ბურთიანად მეკარის ბაქანს მიუახლოვდა და თუმც მახვილი კუთხიდან, მაგრამ ძალიან სახიფათოდ დაარტყა. თურმანიძემ შეძლო ბურთის ცარიელი კარიდან გამოტანა. მერე მასპინძლებს მიეცათ ანგარიშის გაორების კარგი შანსი, მაგრამ შეყრილაძის ჩაწოდების შემდეგ მეგრელაძის თაური ჭანტურიამ კარის დაბალ კუთხეში მოიგერია. 70-ე წუთზე ჭანტურიასთან პირისპირ სამი ტორპედოელი აღმოჩნდა, მაგრამ ამათ იმდენი ვერ მოახერხეს, რომ თამაშგარეში მყოფისთვის არ მიეცათ დასარტყმელად. ბოლო ათ წუთში ქუთაისელებს საერთოდ ვერ იცნობდით. მათ მეტოქეზე მეტად დაეტყოთ დაღლაც და ნერვიულობათ. მასპინძლები აშკარად მოგერიებაზე გადავიდნენ და კინაღამ დაისაჯნენ ამისთვის: 85-ე წუთზე მინდიაშვილმა დაბნეულ მცველებს დაასწრო და ოცი მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი ხარიხას რომ არ გადასცდენოდა, ასლანაძის ნახტომიც ვერ იხსნიდა „ტორპედოს". საფინალო სასტვენის წინ მარლიშვილს არ გაუმართლა, მისმა დაბალ კუთხეში დარტყმულმა სულ ახლოს ჩაუქროლა ძელს.

რაც უნდა თქვათ, ხშირ შემთხვევაში შედეგი მაინც თამაშზე მთავარია. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ქუთაისელებმა „დილასთან" საწადელს მიაღწიეს — თამაშით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ სამი ქულა ხელიდან არ გაუშვიათ და ახლა წინ უნდა იყურონ, მომავალ ორთაბრძოლებზე იფიქრონ. „ტორპედოს" ერთ-ერთი კონკურენტი — „ოდიში" ამას კარგახანია აკეთებს. გუშინწინ ზუგდიდელთა ხელმძღვანელობა სრული შემადგენლობით გახლდათ ქუთაისში მეტოქეების დასაზვერად — „ოდიშს" ხომ შაბათს გორში უწევს ჩასვლა.

## იტალია

თასის ფინალის პირველი მატჩი

**მილანი 1:0 ლაციო**

1:0 ვეა (90)

## თურქეთი

თასის ფინალის საპასუხო მატჩი

**ბეშიქთაში 1:1 გალათასარაი**

1:0 მეჰმეტი (43), 1:1 არიფი (72)

პენალტებით 4:2 მოიგო „ბეშიქთაშმა" და თასსაც დაეუფლა.

## ინგლისი

**ლიდსი 3:1 ჩელსი**

1:0 ჯიმი (7), 1:1 შარვე (10), 2:1 უეზეროლი (22), 3:1 ჯიმი (47)

## ჰოლანდია

აიაქსი — სპარტა 4:0 (მესამე გოლი შოთა არველაძემ გაიტანა); ტვენტე — ტილბურგი 2:0; უტრეხტი — სიტარდი 1:0; ვიტესი — ვოლენდამი 6:0; გრააფსხაპი — როდა 2:0; ნაიმეგენი — ვალვაიკი 2:1; ჰერენვენი — გრონინგენი 1:1

თბილისი
„სინათლე"
7 აპრილი

**მერანი 1:0 მარგვეთი**

**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე (აბაზაძე 64), კაპანაძე (ბერაია 77), ინიაშვილი, ა. ხორხელი, მაზანაშვილი (დანელია 64), დავითაშვილი
**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, კაკაბაძე, გურიელიძე, ჟვანია, გოგაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, თ. გაბრიჭიძე, ქურციკიძე (შავგულიძე 67), მალარაძე, მალალურაძე
1:0 აბაზაძე (80)
**გაფრთხილება:** ივანიშვილი
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**კობა ინასარიძე**

„მერანს" არ ენაღვლება, გავარდნამდე საკმაოდ შორს არიან და საევროპო ადგილებიდანაც მოშორებით. მიზანი ერთიღა დარჩენიათ, ახლანდელი შემადგენლობა შეათამაშონ, ნაკლი გამოასწორონ, შემდეგი სეზონიდან კი ისევ ევროპას დაუმიზნონ. ეტყობა, „სინათლის" ახალგაზონიან მოედანზე მეორე წრეში პირველად მოთამაშე „მერანმა" უკვე განწირულ „მარგვეთთან" ბურთაობაც ამად გამოიყენა. აბა, სხვა გამართლებას, ძალიანაც რომ გვინდოდეს, თბილისელთა თამაშს ვერ მოვუძებნით. მეტად დუნე, უნიათო მატჩი, ადვილი შესაძლებელი გახლდათ, ფრედ დასრულებულიყო და ზესტაფონელებს თავიანთი აქტივისთვის 21 ჩატარებულ შეხვედრაში ოდენ მეცხრე ქულა მიემატებინათ. აბაზაძის ფეხის გამოისობით ასე არ მოხდა და ახლა, ფაქტობრივად, ცნობილია ერთი გავარდნილის ვინაობა — „მარგვეთი", ის გუნდი, ორიოდ წლის წინ ორი დიდი მოულოდნელობა რომ გამოაცხო. მალტაზე მოგებულებმა, კარგად გემახსოვრებათ, შინ სასწაულად წააგეს და ამ მარცხის მიზეზი დღესაც გამოცანად რჩება. თუმცა, ეს ყველაფერი ადრე იყო, დღეს კი მარგველთა მწარედ დაჩაჩანაკების მოწმენი ვართ. დაინტერესებულ პირებსაც კი ძალიან გაუჭირდებათ მათი შველა. გუნდმაც ხომ უნდა შეუწყოს ხელი — ფეხბურთელებმა მეტოქის კარისკენ ერთხელაც თუ არ დაარტყეს, მაშინ მამაზეციერიც ვერ გადმოხედავთ წყალობის თვალით. გუნდს თავდამსხმელი სჭირდება, თუნდაც იმიტომ, მცველთა გადმოგდებული ბურთი დაიჭიროს და პარტნიორებს ზემოთ ამოსვლის საშუალება მისცეს. აღარაფერს ვამბობთ გოლეადორზე. ზესტაფონელთაგან ასეთი

# როცა მეშველელი არავინაა

არავინაა, ამიტომაც იყვნენ მთელი მატჩის განმავლობაში საჯარიმოს მიჯაჭვულნი და ბურთის უცებ მოშორებაზე ფიქრობდნენ. ამათ რომ ხეირიანი შემტევი ჰყოლოდათ, უეჭველია, ერთს მაინც შეაგდებდნენ — „მერანის" დაცვა „სინათლეზე" ის არ იყო, რომელიც ყველაფერს აკონტროლებდა. სტუმრების უსუსურობის შემხედვარენი უკანახაზელებიც აქტიურობდნენ და მარგველთა კარის დალაშქვრას ცდილობდნენ. ოთხმოცი წუთი არაფერი გამოუვიდათ, ხან მერკვილიშვილი ყოჩაღობდა, ხანაც მერანელები ინდომებდნენ მეტისმეტს. ფრეს ველოდით, მაგრამ თავში რომ ვახსენეთ, შეცვლაზე შემოსულმა აბაზაძემ მარჯვენა გაიქნია და დავითაშვილის ნაჯაფარი გოლად აქცია. სასეირო ამის შემდეგ არაფერი მომხდარა. ცხადზე ცხადი გახდა — „მერანმა" გაიმარჯვა, საკითხავი ისღა გახლდათ, რა ანგარიშით? დარჩენილი დრო კი ისე მიილია, არავის უცდია მეორედ გატანა. „მარგვეთს" ამის იმედი არც მანამდე ჰქონდა, აკი გაშვებული გოლის შემდეგ მათი მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე თავისი ადგილიდან ადგა და მსაჯის სასტვენს გასახდელებთან დაელოდა.



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

ბურთი ერთია, მებრძოლი — ოთხი: ჟვანია, გოგიტაძე, გეწაძე და გაბრიჭიძე

## 20 ტური

## 21 ტური

**მაღაროელი 3:3 სიონი** | მოვლენა | **მერანი 1:0 მარგვეთი**

ამ ტურში ბევრი რამ მოხდა საყურადღებო. მაგრამ არაფერი ახალი და აქამდე უნახავი, გარდა ერთისა — ჭიათურულ მატჩში ძვირადსანახავი, ჩვენთვის წარმოუდგენელი მოვლენები განვითარდა. მასპინძლებმა, 25-ე წუთზე 0:3-ს რომ აგებდა, ანგარიშის გათანაბრება შეძლო. „მაღაროელი" გასავარდნთა შორისაა. მასზეა ნათქვამი, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო.

ზესტაფონელები მეორე წრეშიღა დაფაცურდნენ, მაშინ, როცა პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე დაუბრუნდათ. მართალია, ექვს მატჩში ორადორი ქულა მოიპოვეს, მაგრამ უბრძოლველად არავისთვის არაფერი დაუთმიათ. „მარგვეთმა" გუშინწინაც იომა, მაგრამ ბოლოსკენ გაშვებული გოლით წააგო. კარგია, იმერლები ფარ-ხმალს რომ არ ყრიან და ჯერაც დასარჩენად იბრძვიან.

**დინამო 3:0 ტორპედო** | სკანდალი | **სიონი 0:2 ლოკომოტივი**

მადლობა ღმერთს, მცხეთაში მომხდარი აურზაური უმსხვერპლოდ რომ დასრულდა. ლანძღვა-გინების ტალღამ და კენჭების სეტყვამ მას შემდეგ იმატა, რაც „დინამომ" ანგარიში თამაშგარიდან გახსნა. ვეჭვობ, თამაშგარე იყო, მაგრამ რაკი თანამსაჯმა ორდენიძემ წესის დარღვევა არ დააფიქსირა, ჩემს თავზე ვერ ავიღებდიო — თქვა არბიტრმა თამაზ ლაცაბიძემ. ამ გოლის შემდეგ „ტორპედო" აირია და მისმა ქომაგებმა გული ოდენ ლანძღვით იჯერეს.

თუ ვინმე საქართველოში გუნდურ ფეხბურთს თამაშობს და თავისი საკეთებელი იცის, ერთ-ერთი „სიონიცაა". ბოლნისელებს ხუთი ქულის დაკლებამ საქმე გაურთულათ, მაგრამ მეორე წრის სტარტზე მდგომარეობა რომ გამოიკეთეს, თავს მოდუნების საშუალებაც მისცეს. ბოლნისში „სიონის" მარცხი მისი ქომაგებისთვის იმდენად აუტანელია, „ლოკომოტივთან" სამართლიან წაგებასაც მსაჯის ლანძღვით შეხვდნენ.

**ვიტ ჯორჯია 2:1 ბათუმი** | მოულოდნელობა | **თსუ 0:0 გურია**

ეტყობა, თასის ნახევარფინალის წილისყრამ „ბათუმი" ისე დაამშვიდა, ჩემპიონატი ლამის დასრულებულად ჩათვალა. ვიტელებმა მეორე წრე ძალიან ცუდად დაიწყეს. მიზეზი მოთამაშეთა გადინება იყო. „ვიტ ჯორჯია" სახიფათო ზონაში აღმოჩნდა და მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. „ბათუმმა", 1:0-ს რომ იგებდა, მოულოდნელად წააგო. ამბობენ, ეს შოთა ჭეიშვილისა და ელგუჯა გუგუშვილის ძველი მეგობრობის შედეგიცააო.

სტუდენტებს თვრამეტწლამდელთა ნაკრებში ერევანში სათამაშოდ მიწვეული ფეხბურთელები კი აკლდათ, მაგრამ რომ მოენდომებინათ, გურულების ძლევა არ გაუჭირდებოდათ. ჩემპიონატის მიწურულს მომრავლდა უჯიგრო თამაშები. განსაკუთრებით ის გუნდები პასიურობენ, საწადელისთვის უკვე რომ მიუღწევიათ. ასეთთა შორის თსუ-ცაა, მეექვსე ადგილიდან დაძვრა რომ არ ემუქრება. მაგრამ „გურიასთან" ზავი მაინც მოულოდნელი იყო.

**ჯუმბერ ჩუხუა** | გმირი | **დავით ჯანაშია**

„რუსთავიც" დიდ ხიფათშია და ჯგუფში დასარჩენად იბრძვის. არადა, აქამდე ოთხ თამაშში ერთადერთი გოლი გაეტანა „დილასთან" პენალტით მოგებულ მატჩში. ჯუბა ჩუხუამ „მარგვეთთან" დუბლი გააკეთა და 3:0 მოგებაშიც ლომის წილი დაიდო. პირველი თამაშგარიდან კი შეაგდო, მაგრამ რა მისი ბრალია.

„ტორპედოს" გორელთა ძლევა გაუჭირდა. „დილამ" ქუთაისელთა შეტევები მოიგერია და თავადაც იერიშზე გადავიდა. აღმავლობის გზაზე მდგარი „ტორპედო" წინა ტურში „დინამოსთან" მარცხმა ფსიქოლოგიურად წაახდინა. გუშინწინ მათ ერთადერთი გოლის გამტანმა დავით ჯანაშიამ უშველა, ძნელ მატჩში გაამარჯვებინა.

**სამგურალი** | ანტიგმირი | **ვიტ ჯორჯია**

კარგ დღეში არც „სამგურალია". გადათამაშებაში მონაწილეობის ერთ-ერთი კანდიდატი თავადაცაა. ამ ფონზე იმერელთა დუნე თამაშს „ოდიშთან" არავინ ელოდა. ალბათ, არც თავად წყალტუბოელები აპირებდნენ ფარ-ხმალის დაყრას, მაგრამ ბოროტი ენების თქმით, ბოლო მომენტში გადაწყდა, თამაში ზუგდიდელთათვის დაეთმოთ, რადგან „ოდიში" სხვასთან მოგებაში დახმარებას დაჰპირდაო.

წინა ტურში „ბათუმს" ჩვენდა გასაკვირად რომ მოუგო, „ვიტ ჯორჯიამ" ძნელადპროგნოზირებადი გუნდის რეპუტაცია განიმტკიცა. თბილისელებმა პირველ წრეში ბათუმშიც ივარგეს შინ ქულით დაბრუნდნენ, იგივე „დინამოსთანაც" შეძლეს. ამ გაზაფხულზე შეთხელებულ გუნდს ძალა ძველებურად ველარ ერჩის, მაგრამ ფოთში ისე დაშამათდნენ, მეტოქის კარში ხეირიანად ერთხელაც არ დაურტყამთ.

თბილისი
„ისანი"
7 აპრილი

**ასკ 1:0 იბერია** *სამტრედია*

**ასკ:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ლაცაბიძე (გელაშვილი 74), გველესიანი, მ. თევზაძე, კაპანაძე (მაისურაძე 46), ცერცვაძე (დობორჯგინიძე 46), პოზოიანი, ამირიძე, ფანცულაია, ტარიელაშვილი
**იბერია:** ლაბაძე, ხელაძე (ხუჭუა 46), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე (შ. მუმლაძე 74), თოდუა, შ. ჩომახიძე, ამაშუკელი, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი (ბაკურაძე 67), ჭელიძე
1:0 ფანცულაია (22)
ჩომახიძემ ვერ გაიტანა პენალტი (75)
**გაფრთხილება:** ფირცხალავა, თევზაძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვანტალიანი**

გუშინ ავლაბარში ერთი რამ საბოლოოდ გაირკვა. არმიული გუნდი მეორე ჯგუფის ჩემპიონი გახდა, რადგან დარჩენილი თამაშები ველარაფერს შეცვლის.

ცამეტქულიანი უპირატესობა არმიელებს გულმშვიდ ყოფას უქადის.

არადა, სამტრედიელებს შეეძლოთ, მასპინძლები დაემარცხებინათ. ჰქონდათ უპირატესობა და ვერ გამოიყენეს. ეს მათ გამოუცდელობას მივაწეროთ.

ავლაბარში ერთმანეთს გონიერება-გამოცდილება და ახალგაზრდული ენერგია დაეჭიდა. ჭკუამ სისწრაფეს აჯობა. თუმცა, ადვილად შესაძლებელი იყო, პირიქით მომხდარიყო.

ფანცულაია, ფირცხალავა და თევზაძე დიდი ხნის ვეტერანებად ითვლებიან. ეროვნულზე რომ არაფერი ვთქვათ, ამათ თავიანთი სიტყვა საკავშირო ჩემპიონატშიც უთქვამთ. მიუმატეთ ამირიძე, პოზოიანი და ტარიელაშვილი, რომელთაც ბურთის გორების გვარიანი სტაჟი დაგროვებიათ და სულაც არ გაგიკვირდებათ ახალგაზრდა, ჯერაც უწვერული ბიჭების დამარცხება. [illegible] „იბერიას" თამაშში მაინც დიდი პოტენ-

# ალმართს ჭკუაც ხნავს

ცია შეინიშნებოდა და პირველი ჯგუფში ამაღლების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად რომ რაცხენ, ესეც სამართლიანია.

მასპინძლებს ორად ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ. თუ პირველ შემთხვევაში ფანცულაიას სამიზნემ უმტყუნა, მისი თავური ხარიხას დაეცა და კარსუკან გადავარდა. მეორედ მამუკამ თავს შეცდომის უფლება არ მისცა. მარჯვნიდან დაწყებული ინდივიდუალური გარღვევა ძლიერი დარტყმით და გოლით დაასრულა.

მომხდურს სტუმართა მეკარეც ვერ დაუხვდა ყოჩაღად — მახვილი კუთხიდან ახლო კუთხეში დარტყმული გაუშვა.

და მაინც, სამტრედიელებს სამი ქულის წაღება თავისუფლად შეეძლოთ, ხუჭუას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჩომახიძეს რომ გაეტანა. ჩლაიძემ იყოჩაღა. კუთხე ადრე აირჩია და ბურთი მარწუხებში გააქვავა.

სტუმრებს რომ გაექვითათ, მასპინძლები შეტევაზე გადავიდოდნენ. ლაბაძის კარს მიაწყდებოდნენ, რადგან ვალდებულებიც იყვნენ, თავიანთი სიძლიერე დაემტკიცებინათ. ასეთ დროს სტუმართა სიჩაუქე მეტ ფასს შეიძენდა და კონტრშეტევაში მეორე გოლსაც გაიტანდნენ.

ვერ ივარგეს, ჭკუა და გამოცდილება ალმართს ძალაზე ნაკლებად როდი ხნავს. თამაშიც ლოგიკურად დასრულდა, რომელიც უფრო ხისტი და უხეში გამოდგა, ვიდრე ლამაზად სანახავი.



[illegible] ფოტო

თამაზი ლაცაბიძე და კახა ჭელიძე

**მეორე ჯგუფი**

ასკ — იბერია (ს) 1:0
თორი — სამეგრელო 2:1
საპოვნელა — ფაზისი 1:1
კოლხეთი — იბერია (ქ) 2:0
აკადემია — იმერეთი 7:0
სქური — კოდაკო 0:2
მერცხალი — ივერია 0:2
ცხინვალი — მეშახტე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 21 | 19 | 2 | 0 | 71:12 | 59 |
| იბერია (ს) | 21 | 14 | 4 | 3 | 46:16 | 46 |
| ივერია | 21 | 14 | 3 | 4 | 53:21 | 45 |
| კოლხეთი | 21 | 13 | 4 | 4 | 51:31 | 45 |
| ცხინვალი | 21 | 12 | 2 | 7 | 51:26 | 38 |
| აკადემია | 21 | 12 | 4 | 5 | 58:21 | 35 |
| მერცხალი | 21 | 10 | 1 | 10 | 33:35 | 31 |
| თორი | 21 | 9 | 4 | 8 | 38:37 | 31 |
| სქური | 21 | 9 | 2 | 10 | 30:43 | 29 |
| ფაზისი | 21 | 8 | 3 | 10 | 37:40 | 26 |
| მეშახტე | 21 | 7 | 2 | 12 | 33:39 | 23 |
| სამეგრელო | 21 | 6 | 3 | 12 | 28:48 | 21 |
| კოდაკო | 21 | 5 | 2 | 14 | 18:43 | 17 |
| იმერეთი | 21 | 3 | 1 | 17 | 22:83 | 10 |
| იბერია (ქ) | 21 | 4 | 2 | 15 | 22:51 | 9 |
| საპოვნელა | 21 | 2 | 2 | 17 | 22:67 | 8 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | დინამო | 15 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 14 |
| დავით მუჯირი | დინამო | 13 |
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 11 |
| გია მეგრელაძე | ტორპედო | 11 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | კოლხეთი | 9 |
| მამუკა რუსია | თსუ | 9 |
| გრიგოლ გვაზავა | თსუ | 8 |
| ელდარ გვასალია | კოლხეთი | 8 |
| შალვა ისიანი | ოდიში | 8 |
| ჰამლეტ წივწივაძე | კოლხეთი | 8 |
| სულიკო დავითაშვილი | მერანი | 7 |
| გიორგი ტყავაძე | სიონი | 7 |
| ლევან ქებაძე | ტორპედო | 7 |

## საფრანგეთი

XXXI ტური

**ლიონი 1:1 ბორდო**
1:0 კანუტი (27), 1:1 ვილტორდი (62)

**ნანტი 1:1 მონაკო**
0:1 შპეხარი (81), 1:1 და როშა (90)

**მონპელიე 1:0 კანი**
1:0 მულდა (85)

**ლე ავრი 2:2 ოსერი**
1:0 სოლო (163), 1:1 მარლე (18), 2:1 სანე (65), 2:2 სილვესტრი (71)

**სტრასბური 1:1 ბასტია**
1:0 ბატიკლი (33), 1:1 მორავჩიკი (84)

**ტულუზი 1:1 შატორუ**
0:1 დაფრენსი (21), 1:1 ტიეი (453)

**ლანსი 3:0 რენი**
1:0 შმიცერი (17), 2:0 დრობნიაკი (49), 3:0 ელოი (85)

**გინგამი 0:1 მეცი**
0:1 ლუკიჩი (32)

**მარსელი 0:0 პსჟ**

# კენწეროში გატკბილდების?

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში, ტურინში „იუვენტუსთან" 1:4 განადგურება „მონაკოსთვის" ერთობ ცუდი გამოდგა. თავისთავად სამი ბურთით მარცხი საპასუხო შეხვედრის მოლოდინში ვერაფერი შედეგია. შეიძლება ითქვას, ასეთი წაგების შემთხვევაში ორმატჩიანი დუელის ბედი თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ დიდი ანგარიშით წაგება ერთიორად სამწუხაროა, როცა იგი რამდენიმე მომავალ შეხვედრაზეც იქონიებს ზეგავლენას. ფრანგთა, კონკრეტულად კი „მონაკოს" სამწუხაროდ, იტალიის ჩემპიონთან შერცხვენამ ქვეყნის პირველობაზეც იმოქმედა. დაკარგულმა ქულებმა კი ტიტულის (მონაკო ჯერჯერობით კვლავ საფრანგეთის ჩემპიონად რჩება) შენარჩუნების შანსები საკმაოდ შეამცირა.

— თქმა არ უნდა, როცა შეხვედრის დასასრულამდე 30 წამით ადრე უშვებ ბურთს, ეს დამღუპველია. მესმის, მეტოქეს დამაჯერებლად ამარცხებ, ორი, ანაც სამი ბურთის სხვაობით, მაგრამ როცა უპირატესობა მინიმალურია და სულ ბოლოწამს საბედისწეროდ ცდები, ეს აღმაშფოთებელია — სწორედ ასე შეაფასა „მონაკოს" მწვრთნელმა ჟან ტიგანამ მისი გუნდის მიერ შეხვედრის მიწურულს დაშვებული შეცდომა, რაც სტუმრებს გამარჯვების ხელიდან გაშვებად დაუჯდათ.

შეხვედრის ბოლო ათწუთეული ახალდაწყებული იყო, „მონაკოს" ხორვატმა თავდამსხმელმა რობერტ შპეხარმა ამ მოსაწყენ და ამაზრზენ შეხვედრაში ანგარიში რომ გახსნა — ნანტელთა კარის დარაჯი უმწეო გახლდათ. საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე რომ დაწინაურდები, ეს საკმაოდ საგრძნობი სასიკეთო ფსიქოლოგიური ბიძგია, მაგრამ „მონაკო" სწორედ ამ თვალსაზრისით ვერ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული. საფრანგეთის გასული წლის ჩემპიონებმა მატჩი მოგებულად ჩათვალეს და საათნახევრიანი ბრძოლის ბოლო წამებში თავიანთ საჯარიმო მისადგომებთან ისეთ სიტუაციაში იუხეშეს, სადაც უფრო კორექტულად შეიძლებოდა თამაში. არბიტრმა ჯარიმა დანიშნა, გადაწყვეტილებაში ეჭვსაც ვერ შეიტანდი, ნანტელთა ნახევარმცველი ფრედერიკ და როშა კი გამოექანა და მოჭრილი დარტყმით მონაკოელთა იმედები წამში დაამსხვრია — გუნდებმა ქულები გაიყვეს.

— დღესაც მტკივნეულად განვიცდით ტურინში წაგებას. იტალიაში გაშვებული ოთხი ბურთიდან სამი (დელ პიეროს ორი პენალტი და ერთი ჯარიმა) არც იქნებოდა, ჩვენს მცველებს და მეკარეს წესების სრული დაცვით რომ ეთამაშათ, მაგრამ მაშინ მათ იუხეშეს და საკადრისადაც დაისაჯნენ. მიუხედავად იტალიაში დაშვებული შეცდომისა, დღესაც იგივე გავიმეორეთ და კვლავ გაგვიტანეს. ეს უბრალოდ დასანანია, ძალიან დასანანი. მეტად საჭირო მოგება გავუშვით ხელიდან. მიუხედავად ამისა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მაინც ვიბრძოლებთ. წინ ხომ კიდევ სამი ტურია — ეს სიტყვებიც ტიგანას ეკუთვნის, კაცს, რომელმაც არსენ ვენგერის შემდეგ „მონაკოს" შარშან ჩემპიონის ტიტული დაუბრუნა.

„მონაკოში" შეეგუენ იმ აზრს, რომ გუნდი შარშან მოპოვებულ ტიტულს ვეღარ შეინარჩუნებს, მაგრამ ლიგაში თამაშზე კვლავ უჭირავთ თვალი. ყველაფერი სეზონის ბოლოს გაირკვევა, თანაც საფრანგეთის ჩემპიონატი, ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნების პირველობებს შორის ფინიშთან ყველაზე ახლოსაა. რაც შეეხება „მონაკოს" ტიტულის ამრთმევს, იგი ალბათ „ლანსი" იქნება.

— დღეს მივხვდი, რომ ჩვენ იმ დონეს მივაღწიეთ, რომელიც ევროპის დიდ კლუბებთან ტოლ-სწორად თამაშის საშუალებას მოგვცემს. „ლანსი" უდავოდ კარგი გუნდია, ამაში ეჭვი სრულიადაც არ მეპარება — ჩემპიონატის ლიდერთა პრეზიდენტი ჟერვის მარტელი „რენთან" გამარჯვებამ აღაფრთოვანა. მართლაც, მის კლუბს დიდი შანსი აქვს, ქვეყნის პირველი გუნდის ტიტულს შესწვდეს.

რაც დრო გადის, პირველობა დასასრულს უახლოვდება, „ლანსი" კი ჩემპიონატის ბოლო ტურებს ათმაგი მონდომებითა და შემართებით ატარებს. გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო, თან ამ ხნის განმავლობაში ბურთი რაა, ის არ გაუშვია. ლანსელთა მეკარის, ჟილემ ვერმუის ბრწყინვალე სერიას იქნებ ამჯერად წერტილიც დასმოდა, მაგრამ ლიდერთა კარის დარაჯი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული გახლდათ, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბურთი არ გაეშვა.

ჩეხი ნახევარმცველი, ერთი პირობა თავდამსხმელად მოთამაშე ვლადიმირ შმიცერი ლანსელთა გამარჯვების ფუძემდებელი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ანგარიში გახსნა, შემდგომ მოპოვებული შესამჩნევი უპირატესობაც სწორედ მისი ძლიერი და ამავდროულად მახვილგონივრული მოქმედების შედეგი გახლდათ. ჯერ იყო და შმიცერმა უძლიერესი დარტყმით ბურთი კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში შეაგდო, გულშემატკივრების ენაზე რომ ვთქვათ, „ცხრიანში", მერე კი ორი შესანიშნავი გადაცემა გაუკეთა მცველ ჟან გი ველემის და თავდამსხმელ ანტონ დრობნიაკს, თუმცა პირველ შემთხვევაში „რენის" მეკარე ტონი ურტებიმ იმარჯვა, მეორედ კი თავდამსხმელი დაიბნა და შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში, განსაკუთრებით შესვენების შემდგომ ოთხ წუთში, დრობნიაკის მიერ შეგდებული გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ორი ბურთით ჩამორჩენამ „რენის" ასე თუ ისე შეწყობილად მოქმედი დაცვა კი დაბზარა, მაგრამ სტუმართ ბრძოლის შეწყვეტა წამითაც არ უფიქრიათ, ყოველ შემთხვევაში, მათი თამაში ამაზე მეტყველებდა. დაახლოებით 75-ე წუთისთვის „რენის" მოთამაშეებს დაღლაც დაეტყოთ და სულიერად დაცემაც — შეცვლაზე შესული ელოის გოლი სტუმართა ტოტალური უნიათობის დროს გავიდა.

— წელს შესანიშნავ სეზონს ვატარებთ. მართალი გითხრათ, პირველობის დასაწყისში უფრო ინტერტოტოს საგზურის დაუფლებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, საკუთარ ძალებს ვერ ვაფასებდით. ჩემპიონობა რომ მოვიპოვოთ, ამაზე კარგი რამ წელს ლანსში არაფერი მოხდება. ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული — მეორე გოლის ავტორი, სეზონში კი 13 ბურთის გამტანი დრობნიაკი „რენის" ძლევისგან გამოწვეულმა სიხარულმა ლაპარაკის იშტაზე მოიყვანა.

სამშაბათს გამართული შვიდი მატჩიდან აღნიშვნას იმსახურებს „ლე ავრი" — „ოსერის" დაპირისპირებაც. სტუმართა მხცოვანმა მწვრთნელმა გი რუმ, რომელიც თითქმის სამი ათეული წელია, „ოსერს" თავკაცობს, ორჯერ დაუყვირა შეგირდებს, რამაც ორჯერვე შედეგი გამოიღო — სტუმრებმა „ლე ავრს" ორჯერ გაუყაიმეს.

კვლავ ვერ შეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა ოსერელთა უპირველესმა თავდამსხმელმა, პირველობის ბომბარდირთა ლიდერმა სტეფან გივარშმა. ამ ბოლო დროს მისი თამაში აშკარად უკეთესის სურვილს სტოვებს, თავად ფეხბურთელი კი უგოლობას მეტად მძიმე სეზონით და გადაღლით ხსნის.

მიუხედავად გივარშის ბოლოდროინდელი არასახარბიელო თამაშისა, ქვეყნის ჩემპიონატში შეგდებული 20, ხოლო საერთოდ ამ სეზონში ყველა შეჯიბრებაში (საფრანგეთის და ლიგის თასი, ასევე ევროტურნირები) გატანილი 46 გოლი, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა საფრანგეთის და უცხოეთის კლუბებს თავდამსხმელის შეძენის სურვილი გამოეთქვათ. რამდენიმე დღის წინ „ოსერმა" დაასახელა ის გუნდები, რომლებმაც ოფიციალურად გამოთქვეს გივარშის შეძენის სურვილი: „გლაზგო რეინჯერსი", „ნიუკასლი", „არსენალი", „დეპორტივო", „მონაკო" და პსჟ.

გუშინ „ლანსის" უახლოესმა მდევარმა „მეცმა" მეტად ძნელი გამარჯვება მოიპოვა გინგამში. ჩემპიონობის მოპოვების შანსები, რომ შეენარჩუნებინათ, სტუმრებს უცილობელი გამარჯვება ესაჭიროებოდათ, შეხვედრის დასაწყისი კი „მეცს" კარგს არაფერს უქადდა — მართალია მასპინძლები აუტსაიდერები არიან და ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია სრულიად საპირისპირო მიზნისთვის მებრძოლი „მეცი" საწყის წუთებში შეებოჭა.

საბოლოოდ კლასში განსხვავებამ თავისი გაიტანა და ფავორიტებმა მაინც იმარჯვეს — იუგოსლავიელი თავდამსხმელის ვლადან ლუკიჩის ზუსტად დარტყმულმა მასპინძლებს მორიგი მარცხი აგემა, ამავდროულად ჩემპიონატის ინტრიგა კიდევ უფრო დაძაბა.

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, მარსელში რომ შედგა, დაძაბულობა კი იგრძნობოდა, მაგრამ მასპინძელთა და პსჟ-ს დაპირისპირება ანტიფეხბურთი უფრო იყო. მატჩი თითქოსდა საინტერესოდ უნდა წარმართულიყო, მაგრამ მეტოქეთა გადამეტებულმა უხეშობამ თამაშს ელფერი დაუკარგა. არბიტრს რვაჯერ მოუხდა გაფიცხებული მოთამაშეების ყვითელი ბარათით დაშოშმინება.

ფეხბურთელებს რაც შეეხებათ, მასპინძელთაგან საუკეთესო მეკარე კეპკე გახლდათ, სტუმართაგან კი თავდამსხმელი სიმონე.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 31 | 19 | 4 | 8 | 47:28 | 61 |
| მეცი | 31 | 17 | 8 | 6 | 43:26 | 59 |
| მარსელი | 31 | 16 | 7 | 8 | 45:24 | 55 |
| მონაკო | 31 | 16 | 5 | 10 | 44:29 | 53 |
| პსჟ | 31 | 14 | 8 | 9 | 41:30 | 50 |
| ბორდო | 31 | 13 | 11 | 7 | 45:36 | 50 |
| ლიონი | 31 | 14 | 5 | 12 | 34:34 | 47 |
| ოსერი | 31 | 13 | 7 | 11 | 51:42 | 46 |
| ბასტია | 31 | 11 | 11 | 9 | 31:24 | 44 |
| ნანტი | 31 | 11 | 7 | 13 | 31:35 | 40 |
| მონპელიე | 31 | 10 | 10 | 11 | 30:36 | 40 |
| ლე ავრი | 31 | 8 | 13 | 10 | 34:33 | 37 |
| სტრასბური | 31 | 8 | 9 | 14 | 36:42 | 33 |
| ტულუზი | 31 | 8 | 9 | 14 | 24:44 | 33 |
| რენი | 31 | 8 | 8 | 15 | 33:45 | 32 |
| გინგამი | 31 | 7 | 8 | 16 | 24:37 | 29 |
| კანი | 31 | 7 | 7 | 17 | 31:52 | 28 |
| შატორუ | 31 | 7 | 7 | 17 | 27:54 | 28 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სტეფან გივარში (ოსერი) | 20 |
| დევიდ ტრეზეგე (მონაკო) | 15 |
| ვიქტორ იკპება (მონაკო) | 13 |
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 13 |
| ანტონ დრობნიაკი (ლანსი) | 13 |


REUTERS

მასპინძელმა ზიანმა სტუმრებს დიდი ზიანი მიაყენა

## ინგლისი

XXXII ტურის ბოლო მატჩი

**ბლექბერნი 1:3 მანჩესტერი**

ბლექბერნი: ფეტისი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, უილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკინლი, ენჩოსი, დაფი, სატონი, გალაჰერი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, იონსენი, პალისტერი, გიგზი, ფ. ნევილი, სქოულზი, ბექჰემი, კოული, სოლსკიაერი (ბათი 46)
1:0 სატონი (323), 1:1 კოული (56), 1:2 სქოულზი (73), 1:3 ბექჰემი (89)

— კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ „იუნაიტედი" ჩემპიონობის ღირსია. ეს სეზონი აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით უნდა დასრულდეს, რადგან ძალიან სამწუხარო იქნება, „არსენალმა" გვაჯობოს, გუნდმა რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე მხოლოდ მდევარი იყო — მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი „ბლექბერნის" დამარცხებამ გაახარა და კიდეც ააღელვა.


სარბიელის არქივიდან

პოლ სქოულზი

სამი სეზონის უკან დავიხიოთ. 1994-95 წლების ჩემპიონატში, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი" ზედიზედ მესამედ ცდილობდა ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას, ხელი სწორედ „ბლექბერნ როვერსმა" შეუშალა. მაშინ ბლექბერნელებმა კენი დალგლიშის თავკაცობით შეუძლებელი შეძლეს, ფერგიუსონს და მის „ალისფერ ეშმაკუნებს" წამოეწივნენ, ბოლო ტურში კი ჩემპიონებს პირველობაც გამოსტაცეს. შემდეგ ორ სეზონში „ბლექბერნი" ჩემპიონი გუნდის აჩრდილიღა იყო, შარშან კი ბეწვზე გადარჩნენ პრემიერლიგიდან გავარდნას.

წელს საქმე ასე აღარაა. როი ჰოჯსონმა თავის იდეები განახორციელა „ბლექბერნში". კლუბი სეზონის დასაწყისში ძლიერად ათამაშდა. ერთი ხანობა მეტოქეთ მიწასთან ასწორებდა, მაგრამ შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ იგი პირველობისთვის ვერ იბრძოლებდა — როი ჰოჯსონს საკმაოდ ჭკვიანური იდეები ჰქონდა, მათ ხორცშესხმა ესაჭიროებოდა, გალაჰერის, სატონის და ჰენდრის გარდა კი გუნდში შემსრულებელი არავინ იყო.

ბლექბერნელებს მანჩესტერელებთან ახლაც იგივე დაემართათ. ერთი ხანობა ოლდტრეფორდელები მასპინძლებისგან ტაქტიკურად დაჩაგრულნი აღმოჩნდნენ, თუმცა შემდგომ ეშმაკმა ფერგიუსონმა მიაგნო „ბლექბერნის" ძლევის ხერხს და ტიტულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

სხვაობა ლიდერსა და მდევარ „არსენალს" შორის 6 ქულამდე გაიზარდა.

**პირველი დივიზიონი**

42-ე ტური. ჩარლტონი — ვულვერჰემპტონი 1:0, შეფილდ იუნაიტედი — მიდლსბრო 1:0, ტრანმერი — პორტსმუთი 2:1, ნოტინგემი — იფსვიჩი 2:1.

## ესპანეთი

გადატანილი მატჩი

**ბეტისი 0:2 ბარსელონა**
0:1 ჯოვანი (52), 0:2 რივალდო (60)

45 ათასი მაყურებელი შეესწრო იმას, თუ როგორ მიუახლოვდა „ბარსელონა" ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს.

აგერ უკვე სამი წელია, რაც კატალონიელები ესპანური ფეხბურთის მწვერვალზე ვერ ადიოდნენ — ორჯერ „რეალმა", ერთხელაც მადრიდისავე „ატლეტიკომ" არ დაანება „ბარსელონას" გაჩემპიონება, ახლა კი როგორც ჩანს, „ბარსას" კიდევ მოელის დიდება.

ჯოვანი და რივალდო — აი, „ბეტისის" დამმარცხებელი ორი მოთამაშე, რომლებმაც კლუბს თითქმის გაუნაღდეს ჩემპიონობა.

# რობსონი ეინდჰოვენში წავიდა, რადგან...

„ბარსელონას" გადამდგარმა ინგლისელმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომ მისი კატალონიიდან ჰოლანდიაში, კერძოდ კი „ეინდჰოვენში" გადასვლა იმითაა განპირობებული, რომ კვლავ მწვრთნელობა სურს. „ეინდჰოვენი" რობსონისთვის ახალი კლუბი არაა, აქ იგი 1990-92 წლებში მოღვაწეობდა.


ბობი რობსონი

„ბარსელონადან იმიტომ მივდივარ, რომ ისევ მწვრთნელობა მსურს. სხვა მიზეზით არ წავიდოდი, რადგან აქ ბევრი რამ მაკავებს. ის ორი წელიწადი, „ბარსელონაში" რომ გავატარე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, კლუბისთვის კი ფენომენალური. გული მწყდება, მაგრამ ასეთ არჩევანს ვაკეთებ, „ბარსელონას" კი ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ" — თქვა პრესკონფერენციაზე რობსონმა, რომელსაც გაღიზიანებულ კატალონიელ ჟურნალისტთა კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა.

„დღეს აქ საკამათოდ არ მოვსულვარ. თქვენს კითხვებს აქვე მწვრთნელად დაბრუნების შესახებ პატივს ვცემ, მაგრამ გთხოვთ, მეც მეცით პატივი" — დასძინა მან.

შეგახსენებთ, რომ მას მერე, რაც „ბარსელონას" ხელმძღვანელებმა რობსონი მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნეს და მის ნაცვლად ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი დანიშნეს, ინგლისელი იმავე კლუბში ერთ-ერთ დირექტორად მუშაობდა და მთელს მსოფლიოში ნიჭიერ ფეხბურთელთა ძებნით იყო დაკავებული. „ბარსას" პრეზიდენტს ხოსე ლუის ნუნიესს მისთვის ახლაც შეუთავაზებია კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ რობსონმა უარი თქვა. თავის დროზე ინგლისელს ესპანურის ცოდნა და ტაქტიკა დაუწუნეს, ხოლო როდესაც გუნდი ჩემპიონი ვერ გახდა და წინ მოსისხლე მტერი, მადრიდის „რეალი" გაუშვა, თასების თასის მოპოვების მიუხედავად მას თანამდებობა გამოუცვალეს.

# ნეტავ საკი რას უპასუხებს

იტალიის ნაკრებისა და „მილანის" ყოფილ მწვრთნელს არიგო საკის სამსახური ფრანგულმა „პარი სენ ჟერმენმა" შესთავაზა. ეს ამბავი „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა. საკი დღეს 57 წლისაა. მან სახელი მას მერე გაითქვა, რაც „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ 1987 წელს „პარმადან" თავის გუნდში წაიყვანა. გაზეთის ცნობით, ბოლო წლებში უიღბლო მწვრთნელი მზადაა ახალი გამოწვევების მისაღებად. ადრეც ვიუწყებოდით, რომ „პარი სენ ჟერმენი" მიმდინარე სეზონის ბოლოს თანამდებობიდან უშვებს ბრაზილიელ რიკარდოს, რომელსაც საკი თუ არა „მეცის" დღევანდელი თავკაცი ჟოელ მიულერი შეცვლის.

**„სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს**

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვიარონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი ხოსე ლუის კამინერო სამი კვირის განმავლობაში ველარ ითამაშებს. მას საზარდულის კუნთი სტკივა. „ატლეტიკოს" წარმომადგენელთა განცხადებით, კამინერომ ტრავმა კვირას, „ვალენსიასთან" 1:4 წაგებულ შეხვედრაში მიიღო. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელმა ამ სეზონში უკვე მეექვსედ მიმართა ექიმებს. 30 წლის კამინეროს, რომელიც 1994 წელს, აშშ-ში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელთა ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, იმედი ჰქონდა, რომ წლეულს საფრანგეთის მსოფლიო პირველობაზეც ითამაშებდა, მაგრამ ახლანდელი ტრავმა მისთვის ალბათ საბედისწერო იქნება.

ინგლისური კლუბის, პრემიერლიგის „ლესტერ სიტის" თავმჯდომარე ტომ სმიტონი ამბობს, რომ მას უჯობს ახალი, 25 მილიონ გირვანქად (41,7 მილიონი დოლარი) ღირებული სტადიონი ააშენოს, ვიდრე ძველი „ფილბერტ სტრიტ გრაუნდი" გაარემონტოს. სმიტონმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას კლუბის ხელმძღვანელობა შემდგომ კვირაში მიიღებს, მაგრამ არჩევანი ალბათ მაინც ახალი მშენებლობის სასარგებლოდ გაკეთდება. საქმე ის გახლავთ, რომ „ფილბერტ სტრიტ გრაუნდი" ქალაქის ცენტრშია აგებული და ამ ასი წლის სარბიელის რემონტს მის ირგვლივ მჭიდროდ განლაგებულ შენობათა პატრონების წინააღმდეგობა მოჰყვება. ახალი სტადიონისთვის კლუბს ექვსი ადგილი აქვს შერჩეული, რომელთაგან ერთი უნდა აარჩიოს. ფიქრობენ, რომ მომავლის ნაგებობა 35 ათას ადამიანს დაიტევს, თუმცა შეიძლება 40-ათასიანიც დაგეგმონ. „ლესტერ სიტის" პროექტები ბუნებრივია, შემოსავლის გაზრდამ შვა. საფონდო ბირჟაზე წარმატებით მოქმედ კლუბს ოქტომბრიდან იანვრის ბოლომდე, დაუბეგრავად, 1,5 მილიონი გირვანქა ჰქონდა მოგებული.

რუმინეთში ბუქარესტის „დინამომ" მწვრთნელად კორნელ დინუ დანიშნა. დინუმ შეცვალა ვიორელ ჰიზო, რომელმაც ბოლო ტურში გუნდს თანაქალაქელ მტერთან, „სტიაუასთან" 0:5 წააგებინა. „დინუ ჩვენი გუნდის მწვრთნელად სეზონის ბოლომდე იმუშავებს" — თქვა „დინამოს" პრეზიდენტმა პეტრე ბუდურუმ. დინუ ის 50 წლის კაცია, რომელმაც 1992-93 წლებში რუმინეთის ნაკრებსაც კი უხელმძღვანელა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიასთან 2:5 წაგებას გადა-ჰყვა. რაც შეეხება „დინამოს" „სტიაუასთან" 0:5 მარცხს, იგი ამ ორ გუნდს შორის ბოლო 100 შეხვედრაში უდიდესი გახლდათ. დღეისთვის „დინამო" რუმინეთის პირველობის ცხრილში მეექვსე ადგილზეა და მომავალ სეზონში უეფას თასზე გასვლის შანსი აღარ აქვს და ვერც თასების თასზე თამაშით მოიწონებს თავს.

ბრაზილიელმა პელემ, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქვეყნის სპორტის მინისტრის თანამდებობიდან გადადგა, აქაოდა საგამომცემლო საქმეს და ჟურნალისტობას უნდა მივუბრუნდეო, განაცხადა, რომ თუ 4 ოქტომბერს ბრაზილიის პრეზიდენტად ისევ ფერნანდო ენრიკე კარდოსოს აირჩევენ, იგი თანამდებობას დაუბრუნდება. „პრეზიდენტმა მითხრა, რომ თუ თანამდებობაზე დარჩება, ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელებას ისურვებს. ამიტომ გამორიცხული არაა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ისევ მინისტრი გავხდე, თუმცა გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია" — თქვა პელემ, რომელიც საფრანგეთი 98-ის დღეებში ტელეკომენტატორად იმუშავებს. მას კონტრაქტი აქვს კომპანია „ფრანს ტელევიზიონთან", რომელსაც თავის მხრივ ბრაზილიური TV გლობო ჰყავს წილში. „პრეზიდენტმა მითხრა, მინისტრს კომენტატორობის უფლება არ აქვსო და ამიტომაც გადავდექი" — განაცხადა პელემ.

ფრანგული „ბორდოს" ნახევარმცველი ფრანსის გრენე სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, რადგან გასულ შაბათს ლიგის თასის ფინალში „პარი სენ ჟერმენთან" თამაშის დროს მყესები დაიზიანა. გრენე „პარი სენ ჟერმენის" მოთამაშეს ფრენკ გავას შეეჯახა და მოედნიდან გასასვლელი შეიქნა, მის მაგივრად კი საქმეში ცნობილი ვეტერანი ჟან პიერ პაპენი ჩაერთო.

ესპანურ „დეპორტივო ლა კორუნიაში" მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი ფლავიო კონსეისაო ამბობს, რომ მას „მილანი" იმაზე ორჯერ მეტ ხელფასს სთავაზობს, ვიდრე დღეს აქვს. კონსეისაოს კონტრაქტი „დეპორტივოსთან" 2003 წლის ივნისამდეა, მაგრამ მოთამაშის თქმით, კლუბის პრეზიდენტმა აუგუსტო სეზარ ლენდოირომ მილანელთაგან ერთობ სარფიანი წინადადება მიიღო. ამბობენ, კონსეისაოს ახლანდელი ხელფასი წლიურად 180 მილიონი პესეტა ანუ 1,15 მილიონი დოლარიაო. იგი „დეპორტივოში" 1996 წლიდან თამაშობს. ფეხბურთელმა ისიც თქვა, რომ მისი გადაბირებით კიდევ ორი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ მათი კონკრეტულად დასახელება იუარა.

ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემ ჰოტსპურის" თავდამსხმელი ლეს ფერდინანდი 2500 გირვანქით ანუ 4160 დოლარით დააჯარიმეს. დაჯარიმების მიზეზი გახლავთ ის სიტყვები, ფერდინანდმა მსაჯ ჯერალდ ეშბიზე თებერვალში რომ თქვა. თავდამსხმელმა ეშბიზე თქვა, უსირცხვილო ყოფილაო. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ლონდონელებმა ფეხბურთის ასოციაციის თასის ერთ-ერთი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში „ბარნსლისთან" წააგეს და მათი მცველი სტივენ კლემენსი მეორე ყვითელი ბარათის გამო არბიტრმა მოედნიდან გააძევა. იმ დღეს, მატჩისშემდგომ სატელევიზიო პრესკონფერენციაზე ფერდინანდმა მსაჯიც გალანძღა და ისიც დასძინა, ვიცი ამ სიტყვებისთვის ფეხბურთის ასოციაცია დამსჯისო.

კორეაში გეგმა აქვთ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ახალი სტადიონების აგებას ფიქრობენ, მაგრამ ფინანსურმა სიდუხჭირემ, შესაძლოა ხელი შეუშალოთ. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ამ კვირაში პრეზიდენტს რომ შეხვდება, შეეცდება დაუსაბუთოს, რომ ეს მშენებლობები უაზრობაა. საქმე ის გახლავთ, რომ კორეაში ეკონომიკური კრიზისია, რომლის დასაძლევად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ქვეყანას 58,35 მილიარდი დოლარი ჩაურიცხა. წინასწარი გეგმის თანახმად, კორეაში 10 ახალი სარბიელი უნდა აეგოთ. ფიფას კომუნიკაციათა დირექტორის, კით კუპერის განცხადებით მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანიზაცია ამ წუთას გარკვეული პასუხის გასაცემად მზად არ არის და კორეის ხელმძღვანელთა მხრიდან კონკრეტულ პასუხს ელის. აღსანიშნავია, რომ როდესაც კორეას იაპონიასთან ერთად მასპინძლობაზე ფიფაში განაცხადი შეჰქონდა, თავი მას სწორედ ახალ სტადიონთა აგების უნარით მოაწონა. საკითხმა სეულში ერთგვარი მღელვარებაც კი გამოიწვია. ქალაქის „ტონგდაეუმ სტადიუმზე" თავი მოიყარა 1300-ზე მეტმა ადამიანმა, რომლებიც სარბიელთა აგებას ითხოვდნენ. სპეციალისტთა ნაწილის აზრით, მშენებლობების დაწყება ახალი სამუშაო ადგილების გამოჩენას ნიშნავს, რაც ქვეყნისთვის სწორედაც სასარგებლო და მომგებიანია.

გერმანიის ჩემპიონმა, მიუნხენის „ბაიერნმა", რომელიც ლიდერს, „კაიზერსლაუტერნს" კუდში მისდევს, სეზონის ბოლომდე დაკარგა ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი. ელბერმა, „ბაიერნში" „შტუტგარტიდან" ამ სეზონის წინ რომ გადავიდა, ბრემენის „ვერდერთან" მატჩში მეტოქესთან, ოლივერ რეკთან შეჯახების დროს მხარი ამოიგდო და ძვალი გაიბზარა. ახლა უკვე ცხადია, რომ ელბერს, მოახლოვებული მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს. მიუნხენელებს სეზონის ბოლომდე ხუთი თამაში დარჩათ ჩასატარებელი, რომელთაგან სამი შინ უნდა გამართონ. ამ სიაშია მატჩი „ლევერკუზენთან". ლიდერს, „კაიზერსლაუტერნს" წინ ექვსი შეხვედრა აქვს, სამი შინ და სამიც სტუმრად.

რუსეთში მოსკოვის „ტორპედო" და მისი ოთხი ფეხბურთელი დაჯარიმდნენ. ეს მოთამაშეები ჯამში 14 მატჩს გაატარებენ ტრიბუნაზე, რადგან ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან" თამაშის დროს მსაჯის მიერ ბოლო წუთზე მათ კარში დანიშნულ თერთმეტმეტრიან დარტყმას ისინი საძაგლად გამოეხმაურნენ. ის მატჩი „ჩერნომორეცმა" 3:2 მოიგო. კლუბი 10 ათას რუბლს ანუ 1660 დოლარს გადაუხდის რუსთა ფეხბურთის ფედერაციას. დაისაჯა „ტორპედოს" მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვიც, რომელმაც მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია გააცდინა. რაც შეეხება მოთამაშეებს, იგორ სემშოვი მსაჯის ხელხლებისთვის ხუთი თამაშით დაისაჯა, არსენ აბაკოვი ამ ამბავში მონაწილეობისთვის სამი თამაშითაა მოკვეთილი, ანდრეი გაშკინი მოწინააღმდეგესთან უბურთოდ დაჯახებისთვის ხუთმატჩიანია, ხოლო ევგენი ბუშმანოვი მეორე ყვითელი ბარათითაა გაძევებული და პატიოსან ერთთამაშიან დისკვალიფიკაციას დააჯერეს.

იუგოსლავიური პრესის ცნობით, „ცრვენა ზვეზდას" ორი დირექტორი და მწვრთნელი შესაძლოა ფეხბურთელების გაყიდვის საქმეს გადაყვნენ. მათი წასვლის მიზეზი გუნდის ბოლოდროინდელი ცუდი შედეგებიც იქნება. საუბარია ტექნიკურ დირექტორზე დრაგან ჯაჯიჩსა და გენერალურ დირექტორ ვლადიმირ ცვეტკოვიჩზე, რომლებმაც განაცხადეს, რომ თანამდებობაზე ხელახალი არჩევნების დროს თავიანთ კანდიდატურებს აღარ წამოაყენებენ. გაგრძელდება თუ არა მისი კონტრაქტი ივნისის მერე, არც მწვრთნელმა მილორად კოსანოვიჩმა იცის. შეგახსენებთ, რომ ვალებმა, ყოველთვიურად საჭირო 50 ათასმა დოლარმა და სხვა პრობლემებმა „ცრვენა ზვეზდას" ხელმძღვანელებს საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა აფიქრებინა. ამბობენ, 19 წლის დეიან სტანკოვიჩში რომის „ლაციო" 15 მილიონ დოლარს იხდის, ხოლო პერიცა ოგნიენოვიჩი, ზორან ნიეგუსი და ზორან იოვიჩიჩი სეზონის ბოლოს სხვადასხვა კლუბებში გაიყიდებიანო.

ჰოლანდიის პირველობაზე სამშაბათს „მაასტრიხტმა" 2:1 მოუგო „ეინდჰოვენს". 45-ე წუთზე „მაასტრიხტის" მცველმა იოსტ ვოლმერმა საკუთარ კარში გაიტანა გოლი და „ეინდჰოვენი" დააწინაურა, მაგრამ ჯერი დე იონგმა 59-ე წუთზე დარტყმული პენალტით და ვასიუ ტაივომ 79-ე წუთზე გატანილი მეორე გოლით, 7500 მაყურებლის თვალწინ გამარჯვება გამოსტყუეს ძლიერ მეტოქეს.

შოტლანდიის პირველობაზე სამშაბათს „დანდი იუნაიტედმა" 2:2 ითამაშა „დანფერმლაინთან". თავიდან 2:0-ს „დანფერმლაინი" იგებდა (მილარი 19, ბრიტონი 25), მაგრამ მეორე ტაიმში ოლაფსონმა (48) და მელპასმა (70) ანგარიში გაათანაბრეს.

ინგლისელი პოლ გესქოინი „მიდლსბროსა" და „შეფილდ იუნაიტედის" მატჩში, რომელიც შეფილდში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს, დაშავდა. მან კოჭი იტკინა.

ესპანური „ვალენსიას" ვეტერანი მეკარე ანდონი სუბისარეტა სულ მცირე ერთი თვით ჩამოცილდება მოედანს, რადგან დაშავდა. კლუბის სამედიცინო საქმეთა დირექტორმა ხორხე კანდელმა ისიც კი თქვა, სუბისარეტამ შესაძლოა ექიმებთან რვა კვირაც გაატაროსო. 36 წლის გოლკიპერმა საზარდული წვრთნისას დაიშავა და მსოფლიო პირველობის წინ ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს ერთობ დაწყვიტა გული. სუბის ესპანურ ლიგაში 620 მატჩი აქვს ჩატარებული და გახლავთ ერთადერთი მოთამაშე, ვისაც 600-იანი ზღურბლისთვის გადაუბიჯებია. ნაკრებში ანდონის 123 შეხვედრა აქვს ნათამაშევი. იგი დღესაც საუკეთესო ესპანელ მეკარედ ითვლება და თუ დროულად მოჯობინდა, ალბათ თავის მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ინგლისელი ვარსკვლავყოფილი, აწ მწვრთნელი კევინ კიგანი აცხადებს, რომ ქვეყნის ასოციაციის თასის მომავალ ფინალს არ დაესწრება, არც კომენტატორად მივა ტელეწამყვანთა ჯიხურში, რადგან მას აუცილებლად ჰკითხავენ, რატომ წავიდა „ნიუკასლის" მწვრთნელის თანამდებობიდან. მოგეხსენებათ, ფინალში, რომელიც ზევით ვახსენეთ, „ნიუკასლი" „არსენალს" ხვდება. „არავინაა „ნიუკასლზე" დიდი. ეს ფანების გუნდია" — თქვა კიგანმა.

რუსეთის თასის მეოთხედფინალში სპარტაკმა 2:0 მოუგო კრილია სოვეტოვს, ლოკომოტივმა კი 1:0 დაამარცხა დინამო. დანარჩენი მეოთხედფინალები „როტორი" — ცსკა და „ალანია" — რუბინი 14-15 აპრილს გაიმართება. პირველი წყვილის გამარჯვებულს სპარტაკი უმასპინძლებს, ხოლო მეორეს ლოკომოტივი.

# ხალხი ბევრი იყო, არ იყო
# ისევ რეალ — დორტმუნდზე

გაგონილა? ფეხბურთის კარი ძირში გადატყდა. ასეთი არ გაგონილა. ამაზე დღემდე ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ ყველგან, ესპანეთის პარლამენტშიც კი.

პარლამენტარმა კრისტინა ალმეიდამ, რომელიც „ახალ მემარცხენეთა" წარმომადგენელია ქვეყნის მთავარ საკრებულოში და უმცირესობის ინტერესებს იცავს, მთავრობას ხულიგნობის წინააღმდეგ საქმიანი ლაშქრობა მოსთხოვა.

— ექსტრემიზმისა და ძალადობის ეს გამოვლინება საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის სახელს აკნინებს — განაცხადა ალმეიდამ.

დიახ, საუბარია ესპანეთის დედაქალაქში, მადრიდში, ცნობილ „სანტიაგო ბერნაბეუზე", ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის, „რეალ" — „დორტმუნდის" დაწყებამდე გულშემატკივართა მიერ გადატეხილ იმ კარზე, ტელევიზორში მარჯვენე რომ მოსჩანდა. შეგახსენებთ: ტრიბუნას, ესპანურად „ფონდო სურ" რომ ჰქვია, მოედნისგან დამცავი, ჩვეულებრივი მავთულისბადიანი ღობე ჰყოფდა. ამ ღობეზე ტროსით იყო მიმაგრებული საფეხბურთო კარი. გულშემატკივრებმა, თავს „ულტრას" რომ უწოდებენ ბადე-ღობეზე ჯგუფურად, სახმაუროდ აძრომა მოინდომეს. ღობე ჩაიქცა, ტროსი დაიჭიმა და კარის ძელები ძირში გადატეხა. თამაში 75 წუთით გადაიდო. ეს დრო „რეალის" საწვრთნელი ბაზიდან სათადარიგო კარის მოტანამ და დადგმამ მოითხოვა.

ადრეც გაცნობეთ, რომ უეფამ „რეალი" მილიონ სამასი ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა, მაგრამ ჯარიმას ისეთი ახსნა მოაყოლა, რომ ესპანელებმა ჯერ გაოცებისგან პირი დაალეს, მერე კი იჩივლეს. სამასი ათასი ფრანკი კარის მოტეხვისა და ხულიგნობისთვის სრულიად ლოგიკურია, ხოლო მილიონი ის თანხა ყოფილა რომელიც უეფას აზრით „სანტიაგო ბერნაბეუს" ნებადართულზე მეტი ბილეთის გაყიდვით შეუვიდა. ევროპის საფეხბურთო ცენტრში გამოიანგარიშეს, რომ თამაშს 85 ათასი კაცი ესწრებოდა, რაც ნებადართულ 72 ათასზე 13 ათასით მეტია. ეს 13 ათასი ბილეთის ფასზე გადაამრავლეს და მილიონი შვეიცარიული ფრანკი მიიღეს.

— ჩვენ სტადიონის ტევადობა არ გაგვიზრდია — განაცხადა კლუბის ვექილმა ხუან ანტონიო საპერმა — ამიტომაც კარგი იქნებოდა თუ უეფა განგვიმარტავდა როგორ გამოთვალა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" 85 ათასი კაცი იჯდა. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმდენი ბილეთი გავყიდეთ, რამდენის გაყიდვის ნებაც გვქონდა. მართალია, „ფონდო სური" გავსებული იყო, მაგრამ ეს მარტივად აიხსნება. ამ ტრიბუნაზე სხვა ტრიბუნებიდან უპრობლემოდ მიხვალ. „ფონდო სურზე" ხალხი „ფონდო ნორტედან" გადავიდა.

ვექილმა აღნიშნა, ჩემთვის იმის დამტკიცება, რომ უსაფრთხოების დამცველ რაზმებს შეცდომა არ დაუშვიათ და ათი წლიწადია „ბერნაბეუზე" ექსცესი არ მომხდარა, პრობლემას არ წარმოადგენსო.

იმ შეხვედრაზე აკრედიტებულ საგაზეთო „როიტერის" ჟურნალისტთა თქმით 105 ათასიანი „სანტიაგო ბერნაბეუ" „რეალ" — „დორტმუნდის" თამაშზე ფაქტობრივად სავსე იყო. მოგახსენებთ, რომ ამ სარბიელზე 72 500 ადგილი დასაჯდომია, 32 500 კი დასადგომი.

ამავე აზრს იზიარებენ ესპანური გაზეთებიც. ისინი ამბობენ, რომ „ბერნაბეუზე" სულ მცირე 85 ათას ქომაგს მოეყარა თავი, მაქსიმუმ კი 98 ათასი იქნებოდა.

ამრიგად „რეალის" ხელმძღვანელები ქედს მოხრას არ აპირებენ, თავს იცავენ, მაგრამ თითქოს ჭკუაც ისწავლეს, მათ სტადიონზე საგულდაგულოდ ჩარაზეს იმ ოთახის კარი, რომელსაც „ულტრა" ფაქტობრივად ოფისად იყენებდა. ამან „ულტრას" მემარჯვენე ჯგუფი განარისხა, თუმცა გულშემატკივართა რაზმი მაინც ერთობ ორიგინალურ გადაწყვეტილებამდე მივიდა. ის სეზონის ბოლომდე თამაშებზე სიარულს, თავის ადგილზე ჯდომასა და... ხმის გაკმენდას აპირებს.

# ნუ დასცინით ბებერ ტრაპს



სარბიელის არქივიდან

ჯოვანი ტრაპატონი

წავა? არ წავა? მიუნხენის „ბაიერნისთვის" საკითხავი აი, ეს არის.

დონ ჯოვანი ტრაპატონის ბედი ჯერ გაურკვეველია. საკუთარ გეგმებზე 59 წლის საფეხბურთო მაესტრო არაფერს ამბობს გარკვევით არც იტალიურად და არც თავისი დამტვრეული გერმანულით.

სატელევიზიო პრესკონფერენციაზე დონ ტრაპს გერმანიის ჩემპიონის, „ბაიერნის" დღევანდელ, შედარებით უსახურ თამაშზეც ეკითხებოდნენ ის კი, გრამატიკის ელემენტარულ წესებთან მწყრალად მყოფი, ცდილობდა მხატვრულად ელაპარაკა — ჩემი ფეხბურთელები ცარიელი ბოთლებივით არიანო, განაცხადა.

ტრაპატონი რომ უკმაყოფილო გახლდათ ბავარიელ ქვეშევრდომთა თამაშით, ნათელი იყო, მაგრამ გერმანულად ნათლად ლაპარაკი უჭირდა. მთელ დოიჩლანდში გადასცემდნენ ტრაპის პრესკონფერენციას, უწინარესად სწორედ ლინგვისტური აბრაკადაბრის გამო.

0:0 „ბოხუმთან", 1:1 „კიოლნთან", 1:1 „კარლსრუესთან"... ნებისმიერ ენაზე აღშფოთდება კაცი.

და მაინც, რა ფიქრობს მაესტრო მომავალზე?

— ქვეყანას აღარ შევიცვლი. ერთადერთი, იტალიაში თუ დავბრუნდები, მაგრამ იქაც რომ მელოდეს ასეთი გუნდი არ მეგულება — თქვა სახელოვანმა მწვრთნელმა.

გადაცემის ბოლოს სინიორ ტრაპატონის გაეცინა. მას მიუტანეს „ბაიერნის" მაისური დაახლოებით ასეთი წარწერით: „ტრაპი უნდა დარჩეს. მე ჯერ დამთავრება არა".

„ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰოენესმა განაცხადა: — რაც ჯოვანიმ ტელეინტერვიუში თქვა, ყველაფერი მართალია, სეზონის ბოლოს ხალხს ვეტყვით რას ვაპირებთ.

ეს ნათქვამი ისე გაიგეს, თითქოს ტრაპატონი, რომელსაც „ბაიერნთან" წესით 2000 წლამდე აქვს კონტრაქტი, გუნდს 16 მაისის ანუ გერმანიის თასის ფინალის, „ბაიერნი" — „დუისბურგის" შემდეგ დასტოვებს.

ვერც ბავარიელთა პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის ნათქვამიდან გაარკვევს რამე: — თუ ტრაპს წასვლა უნდა გვეთქვა. მისი გერმანული ძალიან დიდი პრობლემაა.

სამაგიეროდ მწვრთნელს მხარში ამოუდგნენ ფეხბურთელები. ჟურნალ „ბუნტესთვის" მიცემულ ინტერვიუში ლოთარ მატეუსი ამბობს: „სამარცხვინოა, როგორ დასცინიან ტრაპატონის ცუდი გერმანულისთვის. ხალხმა მეტი პატივისცემა უნდა გამოამჟღავნოს, ის ხომ ყველა ღონეს ხმარობს რათა სწორი ფრაზები მოიყვანოს. ბოლოსდაბოლოს იგი მსოფლიოს უდიდესი საფეხბურთო მასწავლებელია".

მეჰმეთ შოლმაც იგივე თქვა. ტრაპატონიზე კარგი მწვრთნელი ცხოვრებაში არ შემხვედრიაო.

დარჩა
FRANCE 98
61 დღე

## ფუტიქსის დროშით
# უკუღმართები



თანამედროვე ფეხბურთში საერთოდ ასე ხდება. — ძლიერნი, რომელთაც თამაში მობეზრებიათ, კარიერის დასასრულებლად იაპონიის ჯეი-ლიგაში, ანაც ამერიკის მეიჯორ სოკერ ლიგაში მიდიან საბურთაოდ. ამ ორი ზეგანვითარებული ქვეყნის საფეხბურთო პირველობები, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საკმაოდ სუსტია. მოხუც ვარსკვლავებსაც ეს არ უნდათ? — გვარიან თანხებს იჯიბავენ, სამაგიეროდ, გულშემატკივრებს ლამაზი თამაში, ათასგვარი ფინტებით ატკბობენ. ერთი სიტყვით, საფეხბურთო სიბერეს თავის გემოზე ატარებენ.

ამერიკის, ანაც იაპონიის კლუბებში გადასვლა არაოფიციალურად მოთამაშის პროფესიონალური კარიერის დასრულებას ნიშნავს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბრაზილიელები, კერძოდ კი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა კაპიტანი კარლოს დუნგა და შემტევი ნახევარმცველი სეზარ სამპაიო ასე არ ფიქრობენ. იცით რა განაცხადეს მათ სამშაბათს? — იაპონიაში თამაში რომ მოგვბეზრდება, ძალებს ევროპის წამყვან კლუბებში ვცდითო. მეტად საინტერესო შემთხვევაა — ორი ვეტერანი ბრაზილიელი, რომელთაც ამომავალი მზის ქვეყანას რამდენიმე წლის წინ მიაშურეს, კარიერის დასრულებას ბებერ კონტინენტზე აპირებენ.

— ყველა ბრაზილიელი, სადაც არ უნდა თამაშობდეს, მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის. მოგება, ცხადია, კარგია, მაგრამ უკეთესია, თუ წარმატება ძლიერ ჩემპიონატებსა თუ ტურნირებშია მოპოვებული. მე მკლავში კვლავ მერჩის ძალა და არც მუხლი მეკვეთება. ვგონებ, ევროპის რომელიმე ძლიერ კლუბში შევძლებ არცთუ ურიგო თამაშს — სეზარ სამპაიო, კაცი, რომელსაც ნაკრების ღირსება 1993 და 1995 წლების „კოპა ამერიკაზე" დაუცავს, თავის სიძლიერეში დარწმუნებულია.

საინტერესოა, რას ამბობს დუნგა:

— მოთამაშეები, რომლებიც იაპონიის ან ამნაირი ქვეყნების კლუბებში თამაშობენ, ჩამოწერილებად ითვლებიან. პირადად მე და კიდევ რამდენიმე მოთამაშემ დავამტკიცეთ, რომ ეს ასე არაა. ამას ჩვენი ნაკრებში დაბრუნებაც მოწმობს. დამიჯერეთ, ჯეი ლიგაში მობურთალებს კვლავ შეგვწევს ძალები, ევროპის წამყვან კლუბებში ლიდერთა ფუნქციები ვიკისროთ. სხვისი რა მოგახსენოთ და მე ამის დამტკიცებას მალე შევეცდები.


სარბიელის არქივიდან

დუნგა იაპონიიდან აბარგებას აპირებს

## პარაგვაი

— სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ხოსე კარდოზომ ნაკრებში თამაშს კლუბში გარჯა ამჯობინა, რადგან მას ბლომად ფული შესთავაზეს. საერთოდ, სპორტსმენების ასეთ ქმედებას არანაირი გამართლება არ მოეძებნება. ეს სულმოკლეობის გამოვლინებაა. ფეხბურთელის საქციელის გამო საკმაოდ ვიმსჯელეთ და მისი დასჯა გადავწყვიტეთ. კარდოზო ნაკრების უახლოეს შეხვედრებში არ ითამაშებს. გარდა ამისა, ქვეყნის ღირსების შელახვის გამო საკმაო თანხითაც დაჯარიმდება — პარაგვაის საფეხბურთო ლიგის თავკაცებმა თითქმის სამსაათიანი სჯა-ბაასის შემდეგ დაგმეს კარდოზოს მოქმედება, ფეხბურთელს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს და 15 ათასი დოლარითაც დააჯარიმეს.

ძლიერი ფეხბურთელისთვის მართლაც მკაცრი სასჯელია, მაგრამ იმისთვის, რაც კარდოზომ მოიმოქმედა, ვფიქრობ, სავსებით მისაღებია — თავდამსხმელის გუნდს, მექსიკურ „ტოლუკას" პარაგვაის აშშ-სთან ამხანაგური მატჩისთვის მზადების პერიოდში მეტად პრინციპული შეხვედრები ელოდა ჩემპიონატში. ამიტომაც „ტოლუკას" თავკაცებმა კარდოზოს დიდი თანხები აღუთქვეს, თუ მათ დაეხმარებოდა და ნაკრებში არ წავიდოდა. კადროზო დაყაბულდა. ვერაფერს იტყვი, კაცია და გუნება.

სასჯელი მიღებისთანავე რომ შევიდოდა ძალაში, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ნაკრების თავკაცი სეზარ კარპეჯანიც გააფრთხილეს, კარდოზო გუნდში არ ვნახოთო და მართლაც თავდამსხმელი სამშობლოს საფეხბურთო სამყაროსგან იზოლირებული აღმოჩნდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 1986 წლის შემდეგ პირველად მოთამაშე პარაგვაის, აპრილის მიწურულს მეტად საინტერესო შეხვედრა აქვს იტალიასთან. „სკუადრა აძურასთან" თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, კარდოზოს კი აპენინელებთან თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ ექნება.

გუშინწინ, სამშაბათს, პარაგვაელთა თავკაცობამ ნაკრებში მიწვეულ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომელთა შორის ახალწვეულიცაა — ედგარ აგილერა. სხვათა შორის, პარაგვაის პირველ გუნდში მოხვედრილ მოთამაშეთაგან მხოლოდ აგილერა და მცველი დენის კანიზა თამაშობენ პარაგვაის კლუბებში, დანარჩენი ლეგიონერები არიან. გუნდშია გოლეადორობით ცნობილი მეკარე ხოსე ლუის შილავერი, რომელმაც წელს ნაკრების ორი მატჩი გამოტოვა მექსიკასთან და აშშ-სთან.

იტალიას პარაგვაი აპრილის ბოლოს ესტუმრება, მანამდე კი დავძენთ, რომ სამხრეთამერიკელებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად სამი შეხვედრა გამართეს — მექსიკასთან, აშშ-სთან და კოლუმბიასთან. თან სამივეში მეტოქეთ ტოლ-სწორზე დაშორდნენ.

კარპეჯანის რჩეულნი: მეკარეები — ხოსე ლუის შილავერი (ველეჟ სარსფილდი), რუბენ რუის დიასი (მონტერეი); მცველები — კარლოს გამარა (კორინტიანსი), სელსო აიალა, პედრო სარაბია (რივერ პლეიტი), ფრანსისკო არსე (პალმეირასი), კატალინო რივაროლა (გრემიო), დენის კანიზა (ოლიმპია ასუნსიონი), რიკარდო როხასი (ესტუდიანტესი); ნახევარმცველები — ედგარ აგილერა (სერო კორა), ხულიო ენკისო (ინტერნასიონალი), რობერტო აკუნია (სარაგოსა), კარლოს მორალესი (ხიმნასია ლა პლატა); თავდამსხმელები — არისტიდეს როხასი (უნიონი), ხულიო იერგოსი (კრუზ აზული), ხორხე კამპოსი (პეკინ გუანი), უგო ბრისუელა (არგენტინოს ხუნიორსი), მიგელ ბენიტესი (ესპანიოლი).

## დამკვირვებელი

— ნაკრებმა საფრანგეთში წარმატებით რომ ითამაშოს, ნორმალური მომზადებაა საჭირო. ამისთვის კი, ვფიქრობ, ამხანაგური თამაშები ზედგამოჭრილია. გარდა ამა თუ იმ მეტოქესთან დაპირისპირებისა, ნაკრების კანდიდატები რაც შეიძლება დიდხანს უნდა იყვნენ ერთმანეთთან. გუნდისთვის და საერთო მიზნებისთვის ასე აჯობებს — თქვა სამხრეთ აფრიკელთა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ, რომელიც საკმაოდ სერიოზულად ფიქრობს ნაკრების მომავალზე.

მწვრთნელი უდავოდ მართალია იმაში, რომ გუნდის შესათამაშებლად ფეხბურთელთა ერთად ყოფნაა, საჭირო, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ნაკრების წევრთა თავშეყრაა. ბოლო სამი კვირაა, ტრუსიე ევროპაში მოგზაურობს და იმ სამხრეთაფრიკელებს აკვირდება, ბებერი კონტინენტის ამა თუ იმ საფეხბურთო ლიგაში რომ თამაშობენ. ვინ იცის, მწვრთნელის მიერ მოთამაშეთა საქმეში ნახვამ იქნებ ზოგიერთი სამხრეთაფრიკელის კარიერაზე გადამწყვეტადაც კი იმოქმედოს. მაგალითად, ტრუსიემ ნაკრებში პირველად უხმო ჰოლანდიის „ჰერენვეენის" კარის დარაჯ ჰანს ვონკს და ბუნდესლიგაში, კერძოდ ბერლინის „ჰერტაში" მობურთალ მარკ არნოლდს. ესენი წარმოშობით სამხრეთაფრიკელები კი არიან, მაგრამ მშობლებმა სამშობლოს ყრმობაშივე დააშორეს.

საბოლოოდ ტრუსიეს ევროპულმა ვოიაჟმა ის შედეგი გამოიღო, რომ მწვრთნელმა ბებერ კონტინენტზე გაბნეული ნაკრების წევრებისა თუ კანდიდატების ერთად თავმოყრა იაზრა — შავი კონტინენტის უკიდურესი სამხრეთით მდებარე ქვეყნის გამორჩეულად კარგად მობურთალი შვილები 19-21 აპრილს სამი დღით ციურიხში შეიყრებიან და ერთმანეთთან უკეთ შეთამაშებასაც შეეცდებიან.

## გულმოკლული

— საშინლად განვიცდი, ნაკრებში რომ აღარ მათამაშებენ. ასე მგონია, ჯოჯოხეთში ჩავვარდი და მაწამებენ. ინგლისის ნაკრების მაისურს თუ კვლავ არ მოვირგებ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მოვკვდები და ეგაა — ვეტერანი მცველი სტიუარტ პირსი, რომლის არაზუსტად დარტყმული პენალტის გამო 1990 წელს, იტალიაში ინგლისმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს ვერ უწია, ძალიან განიცდის, ნაკრებში რომ ვერ მოხვდა. მას ხომ აგერ უკვე 10 თვეა, ქვეყნის ღირსება აღარ დაუცავს.

1997 წლის ივნისში, საფრანგეთმა ბრწყინვალე ოთხთა ტურნირს უმასპინძლა ბრაზილიის, იტალიის და ინგლისის მონაწილეობით. პირსს სწორედ ამ შეჯიბრის შემდეგ აღარ უთამაშია ნაკრებში.

## არგენტინა

არგენტინის ნაკრები, რომელმაც წელს ნათამაშევ ამხანაგურ მატჩებში უკვე მოასწრო ორი ევროპული გუნდის — იუგოსლავიისა და ბულგარეთის დამარცხება, ევროპული ტურნესთვის ემზადება. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა (1978 და 1986 წლებში) არგენტინელებმა ზემოხსენებული ორი გამარჯვება სამშობლოშივე მოიპოვეს, ახლა კი ჯერ ისრაელს ეწვევიან, შემდეგ ირლანდიას.

ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ, რომელიც 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებ გუნდს კაპიტნობდა, ხოლო რვა წლის შემდეგ მექსიკაში ხელახლა გაჩემპიონებულ გუნდში ირიცხებოდა, სამშაბათს ის ფეხბურთელები დაასახელა, რომელთაც 15 აპრილს იერუსალიმში ისრაელის ნაკრებთან მოუწევთ თამაში, 22 აპრილს კი დუბლინში ირლანდიასთან (ამპლუების გარეშე): ხერმან ბურგოსი, ლეონარდო ასტრადა, სერხიო ბერტი, მარსელო ესკუდერო, მარსელო გალიარდო (ყველა რივერ პლეიტი), პაბლო კავალიერო (ველეჟ სარსფილდი), რობერტო სენსინი (პარმა), მაურისიო პინედა (უდინეზე), პაბლო პასი (ტენერიფე), ნელსონ ვივასი (ლუგანო), გუსტავო ლომბარდი (სალამანკა), მატიას ალმეიდა (ლაციო), კლაუდიო ლოპესი, არიელ ორტეგა (ვალენსია), გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა), მარსელო დელგადო (რასინგ კლაბი), როდოლფო კარდოზო, დიეგო კანა (ბოკა ხუნიორსი).

# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი.
ბუნდესლიგა. XXX ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — მიუნხენი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ჰამბურგი — არმინია | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ჰერტა — ვერდერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| კიოლნი — კარლსრუე | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| შალკე — შტუტგარტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ვოლფსბ. — ლევერკუზენი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| გლადბახი — დუისბურგი | 1,8 | 3,1 | 3,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი
II ბუნდესლიგა. XXIV ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვატენშაიდი — ცვიკაუ | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — ფორტუნა | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ფრაიბურგი — უნტერჰახინგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| კარლ ცაისი — ურდინგენი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| კიკერსი — მაინცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კოტბუსი — ზტ. პაული | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი.
პრემიერლიგა. XXXIII ტური

10 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერი — ლივერპული | 1,7 | 3,1 | 4,4 |

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ნიუკასლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბარნსლი — შეფილდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბოლტონი — ბლექბერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ჩელსი — ტოტენჰემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ქოვენთრი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კრისტალი — ლესტერი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| ევერტონი — ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| საუთჰემპტონი — უიმბლდონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვესტ ჰემი — დერბი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი.
I დივიზიონი. XXXXII ტური

10 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — რედინგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სანდერლენდი — ქუინზ პარკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ბრედფორდი — ნოტინგემი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ჰადერსფილდი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| იფსვიჩი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მიდლსბრო — ბერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ოქსფორდი — სვინდონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| შეფილდ იუნ. — ნორვიჩი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სტოკპორტი — ვესტ ბრომ. | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სტოკი — პორტსმუთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვულვზი — სიტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### საფრანგეთის თასის ნახევარფინალი

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| პსჟ — გინგამი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ლანსი — ლიონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალიის ჩემპიონატი.
სერია A. XXIX ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშა — ლაციო | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ფიორენტინა — ვიჩენცა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| იუვენტუსი — პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლეჩე — ბოლონია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მილანი — ატალანტა | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| პარმა — ნაპოლი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| რომა — ინტერი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| სამპდორია — ემპოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| უდინეზე — ბარი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |

### იტალიის ჩემპიონატი.
სერია B. XXIX ტური

10 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| პერუჯა — რეჯანა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კალიარი — ტორინო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ფ. ანდრია — ჯენოა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლუკეზე — სალერნიტანა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| მონცა — კიევო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პადოვა — რავენა | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| პესკარა — ვენეცია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რეჯინა — დი სანგრო | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ტრევიზო — ფოჯა | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ვერონა — ანკონა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი.
I დივიზიონი. XXXIII ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| მერიდა — ბარსელონა | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| სელტა — რეალი | 2,6 | 2,7 | 2,6 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბილბაო — ვალიადოლიდი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| კომპოსტელა — სოსიედადი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ესპანიოლი — ტენერიფე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ოვიედო — რასინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სალამანკა — ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სარაგოსა — მალიორკა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეტისი — სპორტინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი.
II დივიზიონი. XXXVII ტური

10-12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნუმანსია — ორენსე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეიდა — ხაენი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ლას პალმასი — სერესი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ეიბარი — ელჩე | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ალბასეტე — ესტრემადურა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ტოლედო — ბადახოსი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ვილიარეალი — ლოგრონიესი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| რაიო ვალეკანო — სევილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ერკულესი — ატლეტიკო B | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ოსასუნა — ლეგანესი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლევანტე — ალავესი | 4,2 | 3,2 | 1,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი.
XXIX ტური

10-12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბელენენსეში — აკადემიკა | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| სეტუბალი — რიუ ავე | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| კამპომაიორ. — სპორტინგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლეცა — ბრაგა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ამადორა — ფარენსე | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| პორტუ — შავეში | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| ვარზიმი — ვიმარაეში | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მარიტიმუ — ბოავიშტა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| სალგეირუში — ბენფიკა | 3,3 | 3,0 | 2,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი.
XXIX ტური

10-12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ბევერენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ლიერსი — მოლენბეკი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გენკი — ანტვერპენი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გენტი — აალსტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ეკერენი — სტ. ტრუიდენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მუსკრონი — ჰარელბეკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლოკერენი — ბრიუგე | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| შარლერუა — ვესტერლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ანდერლეხტი — ლომელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი.
XXXII ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნ. — აბერდინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ჰიბერნიანი — ჰარტსი | 4,7 | 3,8 | 1,5 |
| მოზერველი — კილმარნოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სტ ჯონსტონი — დანფერმ. | 1,7 | 3,0 | 4,7 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — სელტიკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ავსტრიის ჩემპიონატი.
XXIX ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტიროლი — ადმირა | 1,5 | 3,8 | 4,7 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლინცერი — გრაცერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლუსტენაუ — ზალცბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რაპიდი — რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტურმი — აუსტრია | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუცერნი — გრასჰოპერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი.
III ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| შინიკი — როსტსელმაში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჩერნომორეცი — როტორი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ზენიტი — ტორპედო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლოკომოტივი — ცსკა | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| დინამო — სპარტაკი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ჟემჩუჟინა — ტიუმენი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ალანია — ბალტიკა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ურალანი — კრილია | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (33-ე) | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (29-ე) | 23 და ნაკლები — 1,9; | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (33-ე) | 26 და ნაკლები — 1,9; | 28 და მეტი — 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

**ქართუ**

# პატარა დიდი ტრიუმფატორი

ჰილტონ ჰედ აილენდი. აშშ.
„საოჯახო წრის თასი“.
ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 926 250 $

**მეოთხედფინალი: ირინა სპირლეა (9, რუმინეთი) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 6:7 (3:7), 6:4, 7:6 (8:6); მონიკა სელეში (3, აშშ) — პატი შნიდერი (14, შვეიცარია) 4:6, 6:3, 7:6 (8:6); ლაიზა რეიმონდი (15, აშშ) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:4, 6:1; ამანდა კეტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) — ანდრეა გლასი (გერმანია) 4:6, 7:6 (7:2) — ტრავმა.**

ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სათიხნარო ტურნირი — „საოჯახო წრის თასი“ წლეულს დიდი ვარსკვლავების ზეობას ვერ ელირსა: შარშანდელმა ჩემპიონმა მარტინა ჰინგისმა, კურნიკოვა-უილიამსთა თინეიჯერულმა ლეგიონმა და შტეფი გრაფმა მას გვერდი უქციეს, პირველ-მეორე წრეში ლამის ყველა სახელიანი — ჩეხი იანა ნოვოტნა, ფრანგი მარი პირსი, ესპანელები არანჩა სანჩესი და კონჩიტა მარტინესი გავარდნენ, მეოთხედფინალში კი ყველაზე დიდმა ბობოლამ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) — ლინდსი დევენპორტმაც აიკრა გუდა-ნაბადი.

ფერხორციან ლინდსის, რომელიც ტურნირზე პირველად იყო განთესილი, მეოთხედფინალში WTA-ის ლანძღვა—გინებისა და შარისთავობის უდავო ჩემპიონი, რუმინელი ირინა სპირლეა გადაეყარა. მსოფლიოს მეორე ჩოგანს გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზე 6:3 უპირატესობა ხელშეუხებელი კი ეგონა, მაგრამ სპირლეამ ეისითა და ორი შემოვლებით სამივე მატჩ-პოინტი გადაარჩინა, ამერიკელს კი მატჩის უკანასკნელ გათამაშებაში არ გაუმართლა — ბადის თავზე მოხვედრილმა ბურთმა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ უკან მობრუნება არჩია და ლინდსის მორიგი მარცხი გაუფორმა.

მასპინძელთა გულის გასახეთქად დევენპორტს კინაღამ მონიკა სელეშიც მიჰყვა უკან. ნიჭით და კლასიფიკაციით მეორე შვეიცარიელმა, 19 წლის პატი შნიდერმა მეტოქეს დიდი ბრძოლა გაუმართა და მესამე ხელში ხუთი მატჩ-პოინტიდან ერთზე მაინც რომ ევარგა, სელეშს 6 ათასი თანამემამულის ღრიალი კი არა, მამაზეციერი ველარ უშველიდა. ასე კი გადამწყვეტ ტაი-ბრეიკზე მონიკამ 3:6-დან ზედიზედ 5 ქულა მიითვალა და მატჩის შემდეგ ქალთა ჩოგბურთის ტენდენციებზეც წაიფილოსოფოსა: „ამდენი განთესილის გავარდნა გასაოცარი რამ კი არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მოთამაშეთა საერთო კლასის ამაღლებაზე მიუთითებს. დღესდღეობით იოლი მეტოქეები თითქმის აღარ დარჩაო.“

**ნახევარფინალი: ირინა სპირლეა — მონიკა სელეში 6:4, 1:6, 7:6 (7:5); ამანდა კეტცერი — ლაიზა რეიმონდი 6:4, 6:1.**

ირინა სპირლეამ, რომელიც წლევანდელ სეზონში მერვედფინალს ვერსად გასცდა, ლინდსი დევენპორტს მასპინძელთა კიდევ ერთი ფავორიტი — მონიკა სელეშიც მაიყოლა, თანაც გამარჯვება ამჯერადაც გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზე მოიპოვა. ავყია რუმინელმა ქონმოდებული მეტოქე შემოკლებული დარტყმებითა და ყუმბარისებური საჭირმო ფორჰენდებით გატანჯა და მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში დამარცხებისთვის შურისძიება სამომავლოდ გადაუდო.



კურიე საფინის დამარცხებას ხარობს

**ფინალი: ამანდა კეტცერი — ირინა სპირლეა 6:3, 6:4.**

ჩია ამანდა კეტცერს ტურნირზე უიღბლობათა სერია დაებედა: ჯერ იყო და კვირის დასაწყისში მწვრთნელი — გევინ ჰოპერი მონიკა სელეშის ბანაკში გადაუბარგდა, მერე უამინდობის გამო ხუთშაბათსაც და შაბათსაც ორ-ორი მატჩის ჩატარებამ მოუწია, მაგრამ სამხრეთაფრიკელმა ყველა უბედობას გაუძლო და სეზონის პირველი სათიხნარო ტურნირის ფინალშიც გიგანტთმმუსრავ სპირლეასაც აჯობა.

„მე რომ ერთი ჩემპიონის ტიტული მქონოდა ასარჩევი, სწორედ აქ გამარჯვებას ვისურვებდი“ — განაცხადა ბედნიერმა ამანდამ ფინალის შემდეგ. ეს განსაკუთრებული სიყვარულიკი იქიდან მომდინარეობს, რომ კეტცერი ფორმალურად სამხრეთაფრიკელად ითვლება, მაგრამ წელიწადის ნახევარს, თურმე ჰილტონ ჰედში ატარებს, სადაც მას თავისიანად თვლიან. კარიერაში პირველი ბობოლა ტურნირის მოგებისთვის ამანდას სიხარულის ცრემლებსა და შამპანურით დასველებასთან ერთად 150 ათასი დოლარიც ერგო.

## დევისის თასი

მერვედფინალი

### აშშ 3:2 რუსეთი

**ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:2, 5:7, 6:7 (2:7), 6:4, 6:4; ანდრე აგასი (აშშ) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 6:3, 6:3. წყვილები: ტოდ მარტინი და რიჩი რენებერგი — ევგენი კაფელნიკოვი და მარატ საფინი 7:6 (7:3), 6:1, 2:6, 6:1.**

**ევგენი კაფელნიკოვი — ანდრე აგასი 6:3, 6:0, 7:6 (7:3); ჯიმ კურიე — მარატ საფინი 0:6, 6:4, 4:6, 6:1, 6:4.**

ერთ დროს მსოფლიოში ბატონობისთვის მებრძოლ ორ ქვეყანას შორის ატლანტის ოლიმპიურ კორტებზე დევისის თასის ფინალის საკადრისი ბრძოლა შედგა. ბოლო დღის წინ ამერიკელები 2:1-ს იგებდნენ და ორი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის — ანდრე აგასისა და ჯიმ კურიეს იმედით მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონათ. აგასი დევისის თასზე 1990 წლის შემდეგ არ დამარცხებულიყო და ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობით რეკორდის (17) დამყარებამდე ერთი გამარჯვებაღა უკლდა, მაგრამ ანდრეს ბილ ტილდენის 1920-25 წლების მიღწევის გაუმჯობესება თავისთვის უჩვეულოდ, ჯიგრიანად მოთამაშე ევგენი კაფელნიკოვმა არ დაანება, ხოტორა ამერიკელი სასტიკად დაიბრიყვა და სერიების ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტ შეხვედრაში დიდი ამბები დატრიალდა — კაფელნიკოვისგან გვარიანად შეხურებულმა 18 წლის დებიუტანტმა მარატ საფინმა კურიეს პირველ სეტში სულ ბდღვირა აღინა და მეორეშიც 4:1 დაწინაურდა, მაგრამ გამოცდილმა ამერიკელმა ორმეტრიანი რუსის სისუსტე — ბადესთან უგერგილო თამაში თითზე დაიხვია და მდგომარეობა გამოასწორა. მეხუთე სეტისთვის PTP-ზე კომენტატორად გამწესებულ კაფელნიკოვს ნერვებმა უმტყუნა და თავისიანის გასამხნევებლად გაიქცა, ამერიკელ გულშემატკივრებს კი ღრიალით ლამის ხმები ჩაუწყდათ. კურიემ გადამწყვეტი ბრეიკი მაინც გაახერხა, მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და თავისი კაპიტნის — ტომ გალიქსონის მხრებზე გახელებულ ტრიბუნების წინ საპატიო წრეც დაარტყა, თუმც პრესკონფერენციაზე არც საფინი დავიწყებია, ამ ბიჭს დიდი მომავალი ექნებაო.

**ავთანდილ სვანიძე**

ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ საჩოგბურთო კორტებზე ცხადდება 6-8 წლის ბავშვების მიღება. მოზარდები ივარჯიშებენ ევროპისა და სსრკ მრავალგზის ჩემპიონის, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თეიმურაზ კაკულიას ხელმძღვანელობით.



მიღება ყოველდღე, 25 აპრილამდე, 9-დან 10 და 16-დან 20 საათამდე.



რეგულარული ჩემპიონატი

# მელოუნი: 56!



კარლ მელოუნი

### გოლდენ სტეიტი 99:101 იუტა

(25:24, 25:20, 23:29, 26:28)

**გოლდენ სტეიტი: ბოგსი (11), ჯექსონი (28), მარშალი (13), უეზერსპუნი (6), დამპიე (20), სპენსერი (10), კეფი (7), ფალერი (4), ფერელი, მედკინსი**

**იუტა: სტოქტონი (13), ჰორნაჩეკი (10), კიფი (4), მელოუნი (56), ფოსტერი (2), ეისლი (1), რასელი (12), ოსტერტაგი (2), მორისი (1), ანდერსონი**

ორშაბათს ღამით სან ფრანცისკოში გამართულ მატჩში ფავორიტად, რა თქმა უნდა, შარშანდელი ფინალისტი იუტა ითვლებოდა, მაგრამ თამაშის მხილველი ამ აზრს ძნელად დაეთანხმებოდა. დაჩოქილმა „გოლდენ სტეიტმა“ ფავორიტებად შერაცხულებს გვარიანი ბრძოლა გაუმართა და რომ არა კარლ მელოუნის ბრწყინვალე თამაში, მასპინძლები სენსაციას მოახდენდნენ. გასული სეზონის უძვირფასესმა მელოუნმა 29 სროლიდან 18 ჩააგდო, საჯარიმოს ხაზიდან კი 23-დან 19 და საბოლოოდ 56 ქულა მიითვალა, რაც ამ სეზონში ვერავინ შეძლო. აქამდე ამ რეკორდის ავტორები ვაშინგტონელი ტრეისი მიურეი და ლეიკერსელი შაკილ ონილი იყვნენ 50-50 ქულით. 56 ქულა ბოლოს მაიამელმა გლენ რაისმა ჩაუგდო ორლანდოს 1995 წელს. თვითონ მელოუნს კი ამაზე მეტი ერთხელ გაუხერხებია — 1990 წელს მან 61 ქულა შესძინა თავის გუნდს მილუოკისთან. თავად თამაში ძალიან დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა. თავიდან უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და პირველ ნახევარში ისინი ლიდერობდნენ. იუტამ მდგომარეობა მხოლოდ მეორე ნახევარში გამოასწორა. მესამე მეოთხედში მელოუნმა 25 ქულა გაახერხა და მეოთხედის ბოლო წამებზე მისი სამქულიანის შემდეგ გუნდები შესვენებაზე 73:73 წავიდნენ. ბოლო მეოთხედიც, ისევე როგორც მთელი შეხვედრა, დაძაბულად წარიმართა. მატჩის დამთავრებამდე 11,8 წამით ადრე გოლდენსტეიტელმა ჯიმი ჯექსონმა სამქულიანით 99:99 გახადა და კვლავ იყოჩაღა მელოუნმა, რომელმაც 2,2 წამით ადრე მთელ მატჩში უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩაუშვა კალათში.

6 აპრილი

### ნიუ ჯერსი 125:115 შარლოტი

**ნიუ ჯერსი: კასელი (35+11 პასი), კიტლზი (23), ვან ჰორნი (21)**

**შარლოტი: რაისი (29+10 მოხსნა), უესლი (21)**

შარშანდელთან შედარებით საკმაოდ მოძლიერებულმა ნიუ ჯერსიმ სეზონი მშვენივრად დაიწყო და შუაწელიც ასე გალია. ერთი თვის წინ არავინ იფიქრებდა, რომ ნიუჯერსელებს ასეთი ბრძოლები გადახდებოდათ პლეი ოფში მოსახვედრად, მაგრამ დაშავდნენ კიტ ვან ჰორნი და ჯეისონ უილიამსი. უამათოდ კი გუნდში დაღმასვლა დაიწყო. ჩასაფრებულმა ორლანდომ და ვაშინგტონმაც არ დაახანეს და ერთი ხანობა მასზე წინ მოექცნენ. ნიუ ჯერსი მალე გამოერკვა და ალბათ საპლეიოფო ბოლო მერვე ადგილსაც იგი დაიკავებს. შარლოტთან შეხვედრა მასპინძლებმა დიდი მონდომებით დაიწყეს. თავი არ დაზოგა სემ კასელმა, რომელმაც 35 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. მისი ძალისხმევით ნიუ ჯერსიმ პირველი ნახევარი 15 ქულის სხვაობით მოიგო, მეორის დასაწყისში კი 18:2 მიაღწია. სტუმრები გლენ რაისის მეთაურობით ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ მეტოქეს 9 ქულაზე ახლოს ვერ გაეკარნენ.

### ორლანდო 113:92 ფილადელფია

**ორლანდო: ანდერსონი (34), ჰარპერი (21)**

**ფილადელფია: აივერსონი (23)**

მოიგო პლეი ოფის საგზურის კიდევ ერთმა მაძიებელმა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა. მატჩი ორლანდოს შტურმით დაიწყო, მაგრამ ჯაბანი არც ფილადელფია აღმოჩნდა და მეტოქე შორს არ გაუშვა. პირველი ნახევრის შემდგომ მასპინძლები მხოლოდ ოთხი ქულით იყვნენ წინ, რაც თავისთავად ბევრს არაფერს წყვეტდა, მაგრამ აქ თავი გამოიდო ორლანდოს ლიდერმა ნიკ ანდერსონმა და გუნდმა თანდათანობით გაზარდა სხვაობა. სტუმრები ანერვიულდნენ, რასაც ის მოჰყვა, რომ არბიტრმა ჯიმი კლარკმა ალენ აივერსონი ტექნიკურით დასაჯა, სტუმართა მეორე ლიდერი დერიკ კოულმენი (10 ქულა) კი სულაც გააძევა. მატჩის შემდეგ ფილადელფიას მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა, რომელსაც აგრეთვე ტექნიკური ერგო, თქვა, მსაჯი ძალზე მკაცრად მოგვექცაო.

### სან ანტონიო 75:79 პორტლენდი

**სან ანტონიო: დანკანი (24+15 მოხსნა), რობინსონი (23+18 მოხსნა)**

**პორტლენდი: უოლესი (28)**

მიუხედავად იმისა, რომ პორტლენდს არვიდას საბონისი აკლდა, მან მაინც შეძლო, დევიდ რობინსონის გუნდს გამკლავებოდა. პირველ მეოთხედში აღსანიშნავია სტუმართა მშვენიერი თამაში. დევიდ რობინსონმა და მისმა რაზმმა ვერაფერი მოუხერხეს პორტლენდელთა დაწყობილ შეტევებს. ბოლო მეოთხედის წინ სტუმრები 11 ქულით იყვნენ წინ. სან ანტონიომ თუმც გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა მეტოქესთან მიახლოება და დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. 76:75 იყო სტუმართა სასარგებლოდ, როცა რაშიდ უოლესმა ორი საჯარიმო ჩააგდო და სამი ქულით დააწინაურა პორტლენდი. აქ მასპინძლებს — ჯარენ ჯექსონს და ვინი დელ ნეგროს შეეძლოთ თამაშის ხსნა, მაგრამ თითო-თითო სამქულიანი ააცილეს, 5,5 წამით ადრე კი პორტლენდელმა დეიმონ სტუდემაიერმა საჯარიმოთი მატჩს წერტილი დაუსვა. ამ უკანასკნელმა თამაშში 15 პასი გააკეთა, ერთით მეტი, ვიდრე მთლიანად სან ანტონიომ.

### სიეტლი 92:102 ფინიქსი

**სიეტლი: შრემპფი (23), პეიტონი (22)**

**ფინიქსი: მენინგი (23)**

დასავლეთის პირველ გუნდს შინ გაუჭირდა მეხუთე ადგილზე მყოფ ფინიქსთან და მწვრთნელ ჯორჯ კალს რომ არ შეეფუცხუნებინა, ბოლო მეოთხედში გუნდი გაცილებით დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა. ფინიქსმა ზედიზედ მეხუთედ მოიგო და პირველი მარცხი აგემა სიეტლს ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ. ამ წაგებით სიეტლმა დასავლეთში პირველი ადგილი იუტას გადაულოცა.

7 აპრილი

### ინდიანა 82:80 კლივლენდი

**ინდიანა: ა. დევისი (19+15 მოხსნა)**

**კლივლენდი: პერსონი (18)**

მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მასპინძლები 80:70 იგებდნენ, უესლი პერსონმა თავი გამოიდო და მისმა გუნდმა ეს მონაკვეთი 10:0 დაასრულა. 26,2 წამით ადრე შონ კემპმა (16 ქულა, 11 მოხსნა) ორი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა — 80:80, მაგრამ 8,8 წამიღა რჩებოდა, როცა მთელი თამაშის განმავლობაში ჩრდილში მყოფმა რეჯი მილერმა (12 ქულა) გადამწყვეტი ორქულიანი ჩააგდო.

### ჩიკაგო 103:85 ვაშინგტონი

**ჩიკაგო: ჯორდანი (30), როდმანი (4+20 მოხსნა)**

**ვაშინგტონი: უებერი (25)**

ჩიკაგოელი ხარების რისხვას ვერც დედაქალაქელები გადაურჩნენ და ამ წაგებით კიდევ უფრო გაიუარესეს პლეი ოფში თამაშის შანსი. შარშან ვაშინგტონმა სასწაულად აჯობა კლივლენდს და ბოლო, მერვე ადგილსაც ის დაეუფლა. სეზონის ბოლოს გამოჩნდება, შეძლებს თუ არა, გაიმეოროს შარშანდელი და ხახამშრალი ამჯერად ნიუ ჯერსი დატოვოს.

### მინესოტა 92:89 მაიამი

**მინესოტა: გარნეტი (27+14 მოხსნა), მარბერი (18+16 პასი)**

**მაიამი: მურნინგი (28)**

მაიამის დაუბრუნდნენ ტრავმირებული მოთამაშეები — ალონზო მურნინგი და ფი ჯეი ბრაუნი. მურნინგმა ერთი კვირის წინ ყბა გაიტეხა და ოპერაცია გაიკეთა, ძირითადი ხუთეულის მეორე წევრს კი მარცხენა ქუსლის ტრავმა მოუშუშებია. ესაა, ტყუილად გაისარჯნენ — მათმა გუნდმა ბოლო მეოთხედი 20:16 დათმო, რაც საბოლოოდ წაგების ტოლფასი გამოდგა.

### დალასი 9[illegible]:99 პორტლენდი

**დალასი: ფინლი (24)**

**პორტლენდი: რაიდერი (26)**

ადრეც ვწერდით, რომ დალასის მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა დონ ნელსონმა, გაბრაზებულმა იმით, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი შონ ბრედლი ცუდად თამაშს დაეჩვია, იგი სასტარტო ხუთეულიდან ამოაგდო. ამის შემდეგ ბრედლი ბოლო 15 მატჩში შეცვლაზე შემოდიოდა და გაცილებით უკეთ ირჯებოდა. ამჯერადაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი დამარცხდა, ბრედლი საუკეთესო იყო დალასელებში. მან გუნდს 22 ქულა, ამდენივე მოხსნა და 13 დაფარება გაუხერხა. ეს მის ბოლო ხუთწლიან კარიერაში საუკეთესო მიღწევაა. ამასთან თრიფლ დაბლი ათზე მეტი დაფარებით ლიგაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ბრედლის გუნდი კი მაინც დამარცხდა, უკვე ზედიზედ მეოთხედ.

### მილუოკი 114:105 ტორონტო

**მილუოკი: ალენი (28), ჯონსონი (24+10 მოხსნა)**

**ტორონტო: კრისტი (20)**

მილუოკის დაუბრუნდნენ ტრავმირებული ლიდერები — ტერელ ბრენდონი (12 ქულა, 11 მოხსნა) და ტაირონ ჰილი (10 ქულა) და თავიანთ გუნდს კარგადაც წაეხმარნენ, მაგრამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ცენტრმა ირვინ ჯონსონმა, რომელსაც მხოლოდ ორი დაფარებაღა დააკლდა, ბრედლის დარი სამმაგი დუბლი რომ გაეხერხებინა.

### ატლანტა 92:79 ნიუ იორკი

**ატლანტა: სმიტი (22), ჰენდერსონი (20)**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (20)**

ატლანტამ იოლად სძლია ნიუ იორკს და წინასწარ დაიჯავშნა პლეი ოფის საგზური.

### დენვერი 87:104 ჰიუსტონი

**დენვერი: ალექსანდერი (19+11 მოხსნა+8 პასი)**

**ჰიუსტონი: დრექსლერი (20) ოლაჯუონი (18+14 მოხსნა)**

### საკრამენტო 97:103 ფინიქსი

**საკრამენტო: უილიამსონი (27)**

**ფინიქსი: რობინსონი (33+10 მოხსნა) ჩეპმენი (21)**

### კლიპერსი 94:110 ვანკუვერი

**კლიპერსი: ოსტინი (16)**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (30+11 მოხსნა), რივზი (25+10 მოხსნა)**

კლიპერსის საშინაო შეხვედრას მხოლოდ 5 ათასი კაცი დაესწრო. ამით თუ სხვა რამით განაწყენებულმა კლიპერსმა მაყურებელს სამაგიეროს უხეირო თამაშით გადაუხადა, რაშიც ვანკუვერელები — აბდურ-რაჰიმი და რივზიც წაეხმარნენ.

**ირაკლი ფირაშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| ჩიკაგო* | 59 | 17 | 77,6 |
| მაიამი* | 53 | 23 | 69,7 |
| ინდიანა* | 53 | 23 | 69,7 |
| შარლოტი* | 47 | 28 | 62,7 |
| ატლანტა* | 45 | 30 | 60,0 |
| კლივლენდი | 43 | 33 | 56,6 |
| ნიუ იორკი | 41 | 36 | 53,2 |
| ნიუ ჯერსი | 39 | 36 | 52,0 |
| ორლანდო | 38 | 38 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 38 | 38 | 50,0 |
| ბოსტონი | 34 | 41 | 45,3 |
| დეტროიტი | 34 | 42 | 44,7 |
| მილუოკი | 34 | 42 | 44,7 |
| ფილადელფია | 29 | 47 | 38,2 |
| ტორონტო | 15 | 60 | 20,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| იუტა* | 57 | 18 | 76,0 |
| სიეტლი* | 57 | 19 | 75,0 |
| ლეიკერსი* | 55 | 20 | 73,3 |
| სან ანტონიო* | 52 | 24 | 68,4 |
| ფინიქსი* | 51 | 25 | 67,1 |
| პორტლენდი* | 43 | 33 | 56,6 |
| მინესოტა* | 40 | 36 | 52,6 |
| ჰიუსტონი* | 38 | 38 | 50,0 |
| საკრამენტო | 27 | 49 | 35,5 |
| დალასი | 19 | 58 | 24,7 |
| ვანკუვერი | 17 | 58 | 22,7 |
| კლიპერსი | 16 | 60 | 21,1 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 60 | 21,1 |
| დენვერი | 9 | 67 | 11,8 |

* გავიდნენ პლეი ოფში

NHL

რეგულარული ჩემპიონატი

# კიდის კარში შდაგნოა

**ბოსტონი — კაროლინა 0:3**

შაიბები: ემერსონი 20 (0:1), კაპანენი 26 (0:2), რობერტსი 17 (0:3)

**ოტავა — ბოსტონი 2:4**

შაიბები: ჰაინცე 19 (0:1), ჰაინცე 20 (0:2), ჰაინცე 21 (0:3), ფალუნი 8 (1:3), აკსელსონი 8 (1:4), ალფრედსონი 16 (2:4)



ოტავა — ბოსტონი. ოტაველი ბრუს გარდინერი ბოსტონის მეკარე რობი ტალასს მიუხდა

კაროლინას თავკაცს სჯერა, რომ ორსეზონიანი გულდასაწყვეტი წარუმატებლობა, როცა კაროლინა (მაშინ გუნდი ჰართფორდში თამაშობდა) ბოლო მომენტში რჩებოდა პლეი ოფის მიღმა, აღარ განმეორდება. „ეს არ არის ჰართფორდული ისტორია, ჩვენ აღმავლობის გზაზე ვართ, ბიჭებიც საბრძოლოდ არიან განწყობილნი, კიდი კი საუცხოოა“ — ამბობს მორისი. როგორც ჩანს, მწვრთნელი თავის შეგირდებსაც აგულიანებს სათასაოდ — მათ ხომ ზედიზედ მესამე საგარეო მატჩი მოიგეს. მეკარე ტრევორ კიდი კი, მორისის თქმისა არ იყოს, მართლაც სასწაულებს ახდენს და ბოლო ხანს თვით ჰაშეკსაც კი ჩრდილავს. კიდმა ზედიზედ მესამე თამაშში შეინახა კარი ხელშეუხებლად და 203 წუთამდე გააგრძელა თავისი „მშრალი“ სერია. სტუმრები ისე დამაჯერებლად თამაშობდნენ, რომ პირველივე პერიოდის შემდეგ, როცა მათ ორი წუთის განმავლობაში 2 შაიბა შეაგდეს, ცხადი გახდა — „ქარიშხლები“ ბოსტონიდან 2 ქულას წაიღებდნენ.

ბოსტონის საშინაო მარცხმა ოტაველებს, ეტყობა, თავდაჯერება შესძინა. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ შინ ძლიერად მოასპარეზე „სენატორებს“ ორი პერიოდი ეძინათ და მხოლოდ ბოლო მესამედში გამოცოცხლდნენ. ყველაფერი ამაო იყო: მანამდე სტივ ჰაინცემ ჰეთ-თრიქით (კარიერაში მე-4) მატჩის ბედი გადაწყვიტა.

**6 აპრილი.** ვაშინგტონი — მონრეალი 2:2, ტამპა — აილენდერსი 0:3, დალასი — ტორონტო 4:2, კოლორადო — ლოს ანჯელესი 1:3, ედმონტონი — ვანკუვერი 3:2

**7 აპრილი.** რეინჯერსი — მონრეალი 2:3, ფლორიდა — ტორონტო 1:3, სენტ ლუისი — დეტროიტი 3:5, სან ხოსე — კალგარი 6:0, ფინიქსი — პიტსბურგი 2:1

აილენდერსელი უეიდ ფლაერტი, ალბათ, ასე არც ერთ საფინალო სასტვენს არ გაუხარებია. საქმე ისაა, რომ მეკარეს, რომელმაც თამაში „მშრალად“ დაასრულა და კლუბს ზედიზედ მესამე ამგვარი მიღწევა მიუთვალა, ტამპელი სენდი მაკარტის დარტყმა „გაეპარა“. თუმცა შეხვედრის დრო უკვე ამოწურული იყო და წამის შემდეგ გატანილი შაიბა, ცხადია, არ ჩაითვალა. „მატჩის ბოლოს წამებს ვითვლიდი და ყურადღებაც ამიტომ მოვადუნე“ — თქვა შემდეგ კმაყოფილმა ფლაერტმა. ასე იყო თუ ისე, ფაქტია: ნიუიორკელებს 189 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვიათ, რაც კლუბის რეკორდია, ზიგმუნდ პალფი კი „კუნძულელთა“ ჭეშმარიტი ლიდერი გახლავთ — 1 გოლითა (სულ—39) და 1 პასით მან 6 მატჩამდე (2 გოლი და 7 პასი) გააგრძელა თავისი იღბლიანი სერია. აწი აილენდერსი რეკორდებითა და ცალკეულ მოთამაშეთა წარმატებებით თუ მოიოხებს გულს, რადგან საპლეიოფო ბრძოლას, კარგა ხანია, გამოეთიშა.

სამაგიეროდ, სანხოსელმა „ზვიგენებმა“, რომლებმაც ასევე „მშრალად“ იმარჯვეს, კიდევ უფრო გაამძაფრეს სიტუაცია დასავლეთში. მოგეხსენებათ, ამ კონფერენციაში დარჩენილი სამი საგზურისთვის რეალურად ოთხი გუნდი იბრძვის და კალიფორნიელებიც, რომელთაც მანამდე სათვალავშიც არავინ აგდებდა, სერიოზულად დაემუქრნენ ამ ოთხეულს. ახლაც, ძმების — დერილ და ბრაიან სატერების გუნდების ორთაბრძოლაში სანხოსელებმა იმარჯვეს, ერთ-ერთი გოლი კი, პირველი ამ სეზონში, მესამე ძმამ, რონმა გაიტანა. „ზვიგენები“ 6 გოლიდან ოთხს გუნდში სეზონის განმავლობაში მიწვეულ ჰოკეისტებს უნდა უმადლოდნენ, მათ შორისაა ექს-სენტლუისელი ჯო მერფი (5), რომელმაც ახალ კლუბში ანგარიში გახსნა. სან ხოსემ ბოლო 6 მატჩში 9 ქულა დააგროვა, თუმცა ეს ვერაფერი ნუგეშია, რადგან მოიგეს მისმა კონკურენტებმაც — ედმონტონმა და ფინიქსმა. ედმონტონმა ოფიციალურად გაუფორმა ვანკუვერის ჩემპიონატისშემდგომი არდადეგები, გადამწყვეტი შაიბა კი მარტის საუკეთესო ახალბედამ, სკოტ ფრეზერმა შეაგდო. ერთადერთი, ვისზეც სატურნირო მდგომარეობა არანაირ გავლენას არ ახდენს, პაველ ბურეა, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის სნაიპერულ მოვალეობას. ბოლო 6 მატჩში გატანილ 6 გოლს (სულ—48) „რუსულმა რაკეტამ“ კიდევ ერთი წარმატებაც დაუმატა — სეზონში ხუთჯერ გამოირჩა უმცირესობაში.

ფინიქსმა კი, რომელსაც კონკურენტთა შორის ჯერჯერობით საუკეთესო პოზიცია გააჩნია, მეტად მნიშვნელოვანი 2 ქულა მოიპოვა პიტსბურგში, გადამწვეტი გოლი კი მასპინძლებს ყოფილმა „პინგვინმა“ რიკ ტოკეტმა (25) გაუტანა. „კოიოტების“ გამარჯვება ორმაგ-ორად ფასეულია, რადგან ხუთი წლის მანძილზე მათ პირველად მოიგეს პიტსბურგში, თუმცა მასპინძელთა გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ ფინიქსელი რენიკის „წყალობით“ მათ პირველივე პერიოდში დაუშავდათ და გამოაკლდათ ძირითადი მეკარე ტომ ბარასო.

ისე, ბოლო მატჩებში ფავორიტები მაინცდამაინც თავს არ იკლავენ და პლეი ოფის საგზურებისთვის მებრძოლ გუნდებთან პაექრობაში უფრო ხშირად თავად ზარალდებიან, რაც მოულოდნელობად სულაც არ უნდა ჩაითვალოს. თუმცა კოლორადოს ზედიზედ მეხუთე მარცხი უკვე საგანგაშოა და ვერც წამყვანი ცენტრის, პეტერ ფორსბერგის არყოფნა გაამართლებს „ეველანშის“ ჩავარდნას, რადგან შარშანაც გუნდი ერთ ხანს ფორსბერგისა და საკიკის გარეშე ასპარეზობდა და გაცილებით უკეთაც გამოიყურებოდა. გამოჯანმრთელებულმა საკიკმა თავის მეორე მატჩშიც გაიტანა, თუმცა მისმა გოლმა (სულ — 26) ვერ იხსნა შინ მოთამაშე კოლორადო. „მეფეთა“ ლიდერმა იოზეფ შტუმპელმა 21 შაიბით პერსონალური რეკორდი დაამყარა, ყოფილმა კოლორადოელმა სტეფან ფისემ კი 31 დარტყმა მოიგერია.

სამწუხაროდ, ტრავმებმა გატანჯა მეტად პერსპექტიული მონრეალელი საკუ კოივუ. ვაშინგტონთან შეხვედრაში ფინელმა თითი მოიტეხა, თუმცა მის ნაცვლად წამყვან სამეულში ადგილდამკვიდრებულმა სებასტიან ბორდელომ ღირსეულად შეცვალა გუნდის ლიდერი — ორჯერ შეაგდო და კანადელებს ქულა წაალებინა შინ.

მეორე დღეს კი მონრეალელებმა სულ 27 წამში მოითავეს საქმე — ტორონტონმა და ბრიზუამ იმარჯვეს. ნიუიორკელთაგან ისევ და ისევ დაუღალავი გრეცკი (1+1,22) მოექცა ყურადღების ცენტრში, რომელიც ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე აღზევდა. მისმა მოულოდნელმა შორეულმა დარტყმამ გააოგნა სტუმართა მეკარე ჟოსლენ ტიბო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ უეინის ციგურამ აისხლიტა ბრიზუას გადამწყვეტი შაიბა.

დასავლეთში პირველი ადგილისთვის მოცილე დალასმა და დეტროიტმა მოგებები შეიმატეს. რაც შეეხება თასის მფლობელ დეტროიტს, იგი თანდათან იბრუნებს საუკეთესო ფორმას და ოთხივე სამეულის სიძლიერითაც შარშანდელივით ემუქრება მეტოქეებს. ამჯერად გადამწყვეტი შაიბა „ჩეკინგური ხაზის“ ცენტრმა კრის დრეიპერმა შეაგდო.

**სამველ ლარიბიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი | | | | | | |
| ნიუ ჯერსი* | 76 | 46 | 9 | 21 | 208:149 | 101 |
| პიტსბურგი* | 77 | 37 | 17 | 23 | 210:177 | 91 |
| ფილადელფია* | 75 | 39 | 11 | 25 | 220:177 | 89 |
| ვაშინგტონი | 76 | 36 | 12 | 18 | 204:191 | 84 |
| მონრეალი | 77 | 36 | 11 | 30 | 224:194 | 83 |
| ბოსტონი | 76 | 35 | 13 | 28 | 202:180 | 83 |
| ბუფალო | 75 | 33 | 15 | 27 | 192:170 | 81 |
| ოტავა | 76 | 30 | 14 | 32 | 177:188 | 74 |
| კაროლინა | 75 | 32 | 8 | 35 | 186:196 | 72 |
| აილენდერსი | 75 | 27 | 10 | 38 | 197:209 | 64 |
| რეინჯერსი | 78 | 23 | 18 | 37 | 188:220 | 64 |
| ფლორიდა | 76 | 23 | 12 | 41 | 185:234 | 58 |
| ტამპა | 76 | 17 | 9 | 50 | 144:244 | 43 |
| დასავლეთი | | | | | | |
| დალასი* | 76 | 44 | 11 | 21 | 223:157 | 99 |
| დეტროიტი* | 77 | 42 | 15 | 20 | 235:184 | 99 |
| სენტ ლუისი* | 76 | 41 | 8 | 27 | 230:184 | 90 |
| კოლორადო* | 78 | 37 | 16 | 25 | 218:195 | 90 |
| ლოს ანჯელესი | 76 | 35 | 11 | 30 | 213:205 | 81 |
| ფინიქსი | 76 | 31 | 12 | 33 | 208:210 | 74 |
| სან ხოსე | 77 | 32 | 8 | 37 | 196:205 | 72 |
| ედმონტონი | 77 | 31 | 10 | 36 | 195:210 | 72 |
| კალგარი | 76 | 25 | 14 | 37 | 200:228 | 64 |
| ტორონტო | 77 | 27 | 9 | 41 | 179:224 | 63 |
| ვანკუვერი | 77 | 24 | 13 | 40 | 214:261 | 61 |
| ანაჰაიმი | 76 | 24 | 12 | 40 | 187:241 | 60 |

* გავიდნენ პლეი ოფში

## დამრტყმელმა დაირცხვინა

სენტლუისელი ელ მაკინისი დეტროიტთან გატანილმა გოლმა და შედეგიანმა პასმა ლიგის იუბილართა შორის დაამკვიდრა: მან მცველთაგან მეექვსემ მიაღწია დიდოსტატობის მაჩვენებლ 1000-ქულიან ზღვარს.

36 წლის მაკინისმა, რომელიც ჯერ კიდევ 1989 წელს, კალგარიში თამაშისას გახდა სტენლის თასის საუკეთესო ბომბარდირი და დღემდე ნჰლ-ში უძლიერეს დამრტყმელად ითვლება, მეტად მოკრძალებულად შეაფასა თავისი მიღწევა: „ბედნიერი ვარ, რომ მთელი კარიერის მანძილზე უდიდეს გუნდებში და ჩინებულ პარტნიორებთან ვთამაშობდი. არასდროს მიფიქრია, ესოდენ დიდ შედეგს თუ შევწვდებოდი.“

## ბონდრა კვირის კაცია

ვაშინგტონის სახელოვანი სნაიპერი პეტერ ბონდრა ამ დღეებში უჩვეულოდ შედეგიანი იყო: სლოვაკმა 3 მატჩში 5 გოლი და 3 პასი მიითვალა და დამსახურებულადაც გახდა კვირის (30 მარტი — 5 აპრილი) საუკეთესო ჰოკეისტი.

30 წლის თავდამსხმელმა, რომელიც სნაიპერთა სიაში 48 შაიბით მეორეა, კაროლინას მეკარე ტრევორ კიდი, ფინიქსის გოლეადორი კეიტ ტკაჩუკი და ზედიზედ სამი დუბლის ავტორი, აილენდერსელი მარიუშ ჩერკავსკი ჩამოიტოვა.



# შვედებს პროფესიული კრივი უნდათ

ამ კვირაში შვედეთის კრივის ფედერაციამ ევროკავშირს მიმართა, რათა ამ უკანასკნელმა გააუქმოს შვედეთის მთავრობის ოცდაშვიდი წლის წინანდელი აკრძალვა და ქვეყანაში პროფესიული კრივი დაუშვას.

ფედერაცია ეყრდნობა ევროკავშირის კანონთა იმ პუნქტს, სადაც ჩაუწერიათ, რომ კავშირის ყოველ მოქალაქეს ნებისმიერი პროფესიის არჩევა შეუძლია.

შვედეთი ევროკავშირის ერთადერთი წევრია, პროფესიული კრივი რომ აკრძალული აქვს. სხვა ქვეყანათაგან კი პრობოქსინგი არ გააჩნიათ ნორვეგიას, ისლანდიას, ჩრდილოეთ კორეას და კუბას.

— კრივი იმიტომ აგვიკრძალეს, რომ შვედეთი კულტურულად სხვა ქვეყანაა. ასე არ არის — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა ბიორნ როზენგრენმა — ერთადერთი რეალური მიზეზი სამედიცინოა, მაგრამ თუ სხვა კონტაქტური სპორტი შეიძლება, კრივმა რა დააშავა?

შვედეთში 1971 წელს აკრძალეს პროფესიული კრივი და მიზეზად ის მოუდეს, რომ იატაკქვეშა საქმოსნების და მეფსონეების საქმეა და საზოგადოებას რყვნისო.

რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ჩვენს საუკუნეში ხუთასი პროფესიონალი მოკრივე მომკვდარა რინგზე, მაგრამ ეს რომ მოკრივეთა საერთო რაოდენობას შეუჯერო, მეტად დაბალი პროცენტი გამოვაო, აღნიშნა როზენგრენმა.

# ფლოიდს ყველაფერი დაავიწყდა

ნიუ იორკის შტატის ათლეტური კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა ერთი დროის მძიმე წონის ლეგენდარული ჩემპიონი ფლოიდ პატერსონი.

განთქმული მოკრივე ბოლო დრომდე მორჭმულად განაგებდა ნიუ იორკის საკრივო საქმეებს, მაგრამ წინა კვირაში რამდენჯერმე დაკარგა მეხსიერება.

63 წლის პატერსონმა დანანებით თქვა, როგორც ჩანს, საკრივო კაბინეტიდან საექიმოში მომიწევს გადანაცვლებაო.

„ნიუ იორკ პოსტის“ მოწმობით, საწყალ ფლოიდს ვერ გაუხსენებია თავისი ოდინდელი ბრძოლები და ყველაზე განთქმული მოწინააღმდეგენიც კი. ესეც არ იყოს და, ის ვერ იგონებს კრივის მთავარ წესებს და თავისი მდივნის სახელსაც.



საწყალი, კეთილი ძია ფლოიდი

ჩრდილო კაროლინაში დაბადებული პატერსონი 1952 წლის ოლიმპიური ჩემპიონი შეიქნა, 1956 წელს კი იმ დროისთვის მძიმე წონის ყველაზე ახალგაზრდა (21 წლისა) ჩემპიონი პროფესიონალთა შორის. ის, ასევე, პირველი მოკრივე იყო მძიმეწონოსანთა შორის, დაკარგული ტიტული რომ დაიბრუნა.

ეჰ, საწყალი ფლოიდი. დასვეს და არჩი მურთან მისი ორთაბრძოლა აყურებინეს. ვერც თავისი თავი იცნო და ვერც მურ[illegible]

ნიუ იორკის შტატის გუბერნატორმა ჯორჯ პატაკიმ [illegible]ვილით აღნიშნა, ამ დიდი მოკრივის და კეთილი და ღირსეული კაცის ავადმყოფობა ჩვენთვის დარტყმააო. პატაკიმ თავადვე დანიშნა ფლოიდი ამ თანამდებობაზე სამი წლის წინათ და ახლა იმგვარად ნირწამხდარი იყო, რომ შემცვლელიც ვერ დაასახელა.

კომისიის პრეს-ატაშემ გვენ ლიმ კი თქვა: „მისტერ პატერსონმა თავად გადაწყვიტა წასვლა. ის დიდი სპორტსმენი და საუცხოო თავმჯდომარე იყო“.

ბოლო დროს პატერსონი სასამართლოში დაიარებოდა და ჩვენებებს იძლეოდა იმ პრომოუტერთა საქმის გამო, რომლებიც წესების გარეშე ბრძოლების გამართვის უფლებისთვის იბრძვიან ნიუ იორკის შტატში, სადაც ოქტაგონში ჭიდილი აკრძალულია.


იყიდება

ორსართულიანი სახლი 600 მ² მიწის ნაკვეთით სოფელ წირქოლში (ახალგორის რაიონი).

ფასი 2 500 $

ტ: 30-31-41

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29